

ପ୍ରମାଣିତ କରାଯାଇଥାଏ

K 48.196  
2

# ଫ୍ରେନ୍ଟରି ମହାଦେବ



ବ. ଓରଜାନ୍ତପାତ୍ର, ନ. ଗୋପନୀୟଙ୍କ

# କୃତିରଖଣ୍ଡ ସାହିତ୍ୟ

1882

୨୯ " ୨୫



ବାଚନମତେବ୍ୟାକଳଗା „ସାଧନତା ସାକାରତତ୍ତ୍ଵାଳ୍ୟ“  
ତଥାଲ୍ୟିକ୍ସି — 1978

სახელი ( 3 უბისი)



615.8 (14)

615.838 (47.922)

ფ. 309

+ 614.213 (c. 92.1)

სპეც-2000  
გვამყაველები

ძროშურაში აღწერილია კურორტის აღმოჩენისა  
და განვითარების ისტორია. მოცემულია საირმის მი-  
ნერალური წყლების დახასიათება და ჩამოყალიბე-  
ბულია კურორტ საირმეში მკურნალობის ჩვენებე-  
ბი და წინააღმდეგჩვენებები.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო მასე-  
ბისათვის.

2248/1986  
2

ПАРДЖАНАДЗЕ ШАЛВА КОНСТАНТИНОВИЧ  
ГОГОШВИЛИ АЛАИДИН АБДУЛОВИЧ

Курорт Сапирме  
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1978

50100—033  
II M 601 (08)—78 333° — 78

ქ. მარჯანიშვილი 656. სას.  
სსრ სახელმწიფო  
რესპუბლიკური  
აკადემიკური  
ინსტიტუტი

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1978

648

1610

-5

## საირმის მდეგარეობა და მისაცვლელი გზები

ბალნეოკლიმატური კურორტი საირმე მდებარეობს იმერეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე მდინარე წაბლარას ხეობაში, ზღვის დონიდან 915—950 მეტრ სიმაღლეზე. ქ. ქუთაისიდან საირმემდე 55 და მაიაკოვსკიდან (რაიონული ცენტრი) 26 კილომეტრია. ქ. ქუთაისიდან მაიაკოვსკის გზვლით საირმეში ჩასვლა შეიძლება საავტომობილო გზატკეცილით, რომელიც ჯერ ხანისწყალს მიყვება, შემდეგ თვალწარმტაც, ულამაზეს მდინარე წაბლარას ვიწრო, ღრმა ხეობას, რომლის იგვლივ მთების კალთები დაფარულია ფოთლოვანი და წიწვიანი ტყის მასივით.

საირმეში ჩასვლა შეიძლება სხვა გზითაც, ქ. ვანიდან აღგილობრივ - კურორტ სულორზე გავლით.

საკურორტო სეზონის პერიოდში საირმე სპეციალური სამარტო ავტოტრანსპორტით დაკავშირებულია სხვადასხვა - ქალაქთან; რაც ააღვილებს ავაღმყოფთა მომსახურებას.

## საირმის აღმოჩენისა და

### განვითარების ისტორია

საირმის სამკურნალო მინერალური წყლები ადგილობრივი მოსახლეობისათვის ცნობილი გახდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. მისი აღმოჩენა დაკავშირებულია მონაცირებსაა და მწყემსებთან.

იმ დროს საირმის ტყეებში უხვად არსებული ირემი, შველი და სხვ. ეტანებოდა საირმის წყალს. ამ გარემოებამ მისცა მონაცირებს საშუალება აღმოჩინათ საირმის მინერალური წყლის წყაროები.

საირმის წყლის დასალევად მოსული ნადირის უმოწყალოდ ჟლეტამ ის გადაშენების გზამდე მიიყვანა. ახლა საირმე გამოცხადებულია სახელმწიფო ნაკრძალად და ეს კეთილშობილი ნადირი საკმაო რაოდენობით მომრავლდა.

კორორტის და მისი მინერალური წყლების სახელწოდება „საირმე“ წარმოსდგება სწორედ იქიდან, რომ განსაკუთრებით ირმები სვამდნენ ამ ტყეში არსებულ მინერალურ წყალს.

დაახლოებით 1889 წელს სოფელ ზედა ზეგანში მცხოვრებმა ნარიმან გორგაძემ და მწყემსმა გაბედავამ აღმოაჩინეს საირმის № 3 წყაროს წყალი. ათი წლის შემდეგ (1899 წ.). ილარიონ გორგაძემ აღმოაჩინა № 1 წყარო. მაშინდელი ბალდადის რაიონის ადგილობრივი მოსახლეობა სწორედ ამ დროიდან იწყებს საირმის მინერალური წყლების სამკურნალო მიზნით გამოყენებას.

საირმის მინერალური წყლების პირველი ქიმიური გამოკვლევა აწარმოვა პეტერბურგის პროფესორმა ცვეტმა (1912 წ.). რომელსაც წყალი ჩაუტანა სტუდენტმა გ. ქელენჯერიძემ.

შემდეგში ამ წლების ქიმიური გამოკვლევა ჩატარა ქართველი კოსმა რ. კუპცისმა.

ვინაიდან ოქტომბრის რევოლუციამდე კურორტი საირმე ა. ერისთავის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, ამიტომ კურორტის პოპულარიზაციას, მის კეთილმოწყობას, მინერალური წყლების სამკურნალო თვისებების შესწავლას და სხვ. არ ექცეოდა ყურადღება.

1930 წელს მაიაკოვსკის (ყოფ. ბალდაძი) რაიალმასკომმა პატარა, ძველი ხის სახლების ნაცვლად ააშენა 300-საწოლიანი ორსართულიანი ხის სახლი. ეს იყო პირველი გადადგმული ნაბიჯი კურორტის კეთილმოწყობისათვის.

ამ დროისათვის ავადმყოფთა თვითდაკვირვების (ემპირიის) შედეგად ხალხში ფართოდ იყო გავრცელებული აზრი საირმის მინერალური წყლის (№ 1 წყაროს) შარლის დენის გამაძლიერებელი და საშარლე ორგანოებიდან კენჭის მიგრაციის ხელშემწყობი თვისებების შესახებ. ეს აზრი გავრცელდა იმ მიზეზით, რომ საირმის მინერალური წყლის მიღების შედეგად ავადმყოფებს ხშირად აღენიშნებოდათ წვრილი კენჭის და მარილების (სილა) გამოყოფა.

ამ გარემოებით იყო გამოწვეული ის, რომ აკადემიკოსმა ა. წულუკიძემ 1932 წლიდან კურორტ საირმის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა. 1932-1936 წელს პროფ. ლ. ცისკარიშვილთან ერთად მოაწყო ექსპედიცია საირმის წყლების სამკურნალო თვისებების შესასწავლად.

ექსპედიციამ ჩატარებული დაკვირვებების შედეგად დადგინა, რომ საირმის სასმელი მინერალური წყალი № 1 დადებითად მოქმედებს საშარლე ორგანოების რიგ ქრონიკულ ანთებით და კენჭოვან დაავადებებზე. ამ გარემოებამ დიდად

შეუწყო ხელი საირმის პოპულარიზაციას და როგორც უროლოგიური კურორტის შემდგომ განვითარებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საირმის კეთილმოწყობა მხოლოდ 1930 წლიდან დაიწყო. 1941 წლამდე კურორტზე აშენდა ისევ ხის რამდენიმე შენობა. დაკაპტაჟდა წყაროები და კურორტზე ორგანიზებულ ავადმყოფთა რიცხვმა თვეში 300-მდე მიაღწია. კურორტის განვითარებას ხელს უშლიდა ცუდი გზა, რომელზეც ავტომანქანას გავლა არ შეეძლო. 1944 წელს, როდესაც კურორტი საავტომობილო გზატკეცილით დაუკავშირდა რაიონულ ცენტრ მაიაკოვსკის, დიდად გაიზარდა კურორტის კავშირი საქართველოს სხვადასხვა რაიონთან, ამასთან ერთად ყოველწლიურად მატულობდა კურორტზე ჩამოსულ ავადმყოფთა რაოდენობა, მეტი ყურადღება დაეთმო კურორტის კეთილმოწყობასაც. განსაკუთრებით ბოლო 10—12 წლის მანძილზე საირმე საგრნობლად გამოიცვალა. ახლა კურორტს ამშვენებს ოთხსართულიანი სანატორიუმის ორი კორპუსი (100 საწოლით), პანსიონატი „ზეკარი“ (380 საწოლით), აქვეა მოთავსებული კურორტის პოლიკლინიკა, რომელიც ემსახურება ორგანიზებულ და არაორგანიზებულ ავადმყოფებს. კეთილმოწყობილია მისი კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურითა და საჭირო ინვენტარით აქ მუშაობს უროლოგიური, თერაპიული, სტომატოლოგიური, ფიზიოთერაპიული, რენტგენის და სხვა კაბინეტები. მოწყობილია კლინიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიები.

კურორტის თანამშრომლების განკარგულებაშია პატარა კეთილმოწყობილი სახლები (კემპინგები). 150-საწოლიანი პანსიონატი დროებით მოთავსებულია ხის შენობაში.

ამჟამად კურორტზე ორგანიზებულ ავადმყოფთა რაოდე-

ნობა ორჯერ გაიზარდა (600-700 საწოლამდე), ახლო მომავალში კიდევ 500 საწოლით გაიზრდება.

კურორტზე არის კულტურისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები: კინო, ესტრადა, ბიბლიოთეკა, სასაღილო, კაფე, სურსათისა და სამრეწველო საქონლის მაღაზია, უურნალ-გაზეთების კიოსკი, ფოსტა და სხვ.

მარტიდან დეკემბრამდე აქ მუშაობს მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა, რომელსაც დღეში 9-10 ათასი ლიტრა საირმის წყლის ბოთლებში ჩამოსხმა შეუძლია. დღეისათვის ქარხანა მხოლოდ № 3 წყაროს ჩამოსხმას აწარმოებს. მომავალში გამიზნულია საირმის № 4 წყაროს წყლის ჩამოსხმა.

საირმეში საკურორტო სეზონი 5 თვეს გრძელდება (ივნისიდან ნოემბრამდე).

## საირმის პირითაღი სამკურნალო ფაქტორები

კურორტის ძირითადი სამკურნალო ფაქტორი მინერალური წყალია, რომლის სამკურნალო თვისებამაც დიდად გაუთქვა სახელი საირმეს. გარდა ამისა, კურორტი საირმე თავისი მდებარეობის მიხედვით შეიძლება მიეკუთვნოს საშუალო სიმაღლის მთის კლიმატურ სადგურს, ამიტომ საირმეში ერთ-ერთ ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს მისი ჰავაც.

როგორც აღვნიშნეთ, საირმე მდებარეობს იმერეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. ხანისწყლის მარცხენა შენაკადის მდ. წაბლარას ხეობაში, ზღვის დონედან 915—950 მეტრ სიმაღლეზე.

მდ. წაბლარას ვიწრო ხეობა მთელ სიგრძეზე კურორტის ტერიტორიის ჩათვლით შემოსილია შერეული ტყით და მიეკუთვნება ნოტიო სუბტროპიკულ კლიმატურ ოლქს.

საირმე ხასიათდება თოვლიანი ზამთრით და ზომიერად ნოტიო კლიმატით.

საშუალო წლიური ტემპერატურა  $8,4^{\circ}$ -ს უდრის, შეფარდებითი სინოტივე — 78%-ს, აბსოლუტური სინოტივე — 7,5 მ/მ, ქარის საშუალო წლიური სიჩქარე — 1,1 მ/წამს. ნალექების საშუალო წლიური ჯამი 940 მმ შეადგენს. ცივი პერიოდი (როცა ჰაერის საშუალო დღე-ლამის ტემპერატურა  $10^{\circ}$ -ზე ნაკლებია) გრძელდება 7 თვეს (ოქტომბრის მეორე ნახევრიდან მაისის პირველ ნახევრამდე). ყველაზე ცივ თვეში (იანვარი) საშუალო თვიური ტემპერატურა  $0,8^{\circ}$ -ს უდრის, საშუალო შინიმუმი —  $3,6^{\circ}$ -ს, აბსოლუტური მინიმუმი კი —  $19^{\circ}$ -ს. ამ თვეს საშუალო მაქსიმუმი (შუადლის საათებში) დადებითია და  $4^{\circ}$ -ს უდრის. აბსოლუტურმა მაქსიმუმმა ამავე საათებში შეიძლება  $7^{\circ}$ -ს მიაღწიოს. ცივ პერიოდში შეფარდებითი სინოტივე 70-78%-ის ფარგლებში მერყეობს.

სხვადასხვა მიმართულების ქარებიდან ყველაზე ხშირია ჩრდილო-აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთის ქარები. ეს ძირითადად მთა-ხეობათა ქარია და ქრის ხეობის გაყოლებით. ცივ პერიოდში ქარის საშუალო სიჩქა-

რე 0,9—1,4 მ/წამის ფარგლებში მერყეობს. შუადღის საათებში უფრო ძლიერდება და უდრის 2,1—3,1 მ/წამში. თბილ პერიოდში ხშირია უქარო ამინდები.

მოლრუბლულობა ცივ პერიოდში რამდენადმე მეტია, ვიდრე თბილ პერიოდში და ცა საშუალოდ შემთხვევათა 70%-ში დაფარულია ღრუბლებით. უმზეო დღეთა რიცხვი თვეში საშუალოდ 9—11-ს უდრის. ცივი პერიოდის პირველ ნახევარში მზის ნათების ხანგრძლივობა მცირეა (50-70 საათი თვეში). მეორე ნახევარში კი მატულობს და თვეში 100-150 საათს აღწევს. ნალექების თვიური ჭამი 50-80 მმ-ის ფარგლებში მერყეობს. საირმეში ცივი პერიოდი ნაკლებად ნალექიანია თბილთან შედარებით.

საირმეში თოვლი შეიძლება მოვიდეს ოქტომბერ-ნოემბერში, მაგრამ ის მაღე დნება. მდგრადი თოვლის საბურველი ჩნდება დეკემბერში და მარტის ბოლომდე გრძელდება. თოვლის საშუალო სიმაღლე იანვარ-თებერვალში 25-40 სანტი-მეტრს აღწევს. ცალკეულ ღიღთოვლიან წლებში თოვლის საბურვლის საშუალო დეკადური სიმაღლე იანვარში 130 და თებერვალში 162 სანტი-მეტრს აღწევს. არის წლები, როდესაც თოვლი თითქმის არ არის ან კიდევ ცალკეული თვეებია უთოვლო. თბილი პერიოდი (საშუალო დღე-ლამის ტემპერატურა აღემატება  $10^{\circ}$ -ს) საირმეში 5 თვეს გრძელდება (მაისის მეორე ნახევრიდან ოქტომბრის პირველ ნახევრამდე). ყველაზე თბილი თვეებია ივლისი და აგვისტო. საშუალო თვიური ტემპერატურა ამ თვეებში  $17,2^{\circ}$ -ს არ აღემატება. საშუალო მაქსიმუმი (შუადღის საათებში)  $22-23^{\circ}$ -ს აღწევს. აბსოლუტური მაქსიმუმი ცალკეულ დღეებში  $32-34^{\circ}$ -ს აღწევს. საშუალო შინიმუმი (ლამით)  $12,8-13^{\circ}$ -ს.

თბილ პერიოდში აბსოლუტური სინოტივე 8—11 მ/მ და შეფარდებითი 65—70%-ის ფარგლებში მერყეობს. ამ პერიოდში ადგილი აქვს ჩა, სა და ს ქარებს. ქარის საშუალო სიჩქარე 1 — 1,2 მ/წ უდრის. შუადღისას ქარის საშუალო სიჩქარე 3 მ/წ აღემატება. საირმეში ძლიერი ქარი იშვიათი მოვლენაა.

თბილ პერიოდში (ზამთართან შედარებით) მოღრუბლულობა მცირდება, სამაგიეროდ ნალექების რაოდენობა მატულობს, რაც ძირითადად დღის მეორე ნახევარში ელჭექის ხასიათის წვიმების სახით ვლინდება. ყველაზე ნალექიანი თვეებია მაისი და ივნისი (124-136 მ/მ თვეში). დანარჩენ თვეებში საშუალოდ 70-90 მ/მ უდრის. უმზეო დღეთა რიცხვი ცივ პერიოდთან შედარებით საგრძნობლად მცირდება (თვეში 9-11 დღის ნაცვლად 2-3 დღემდე). თვეში მზის ნათების ხანგრძლივობა კი საგრძნობლად მატულობს და 50-80 ნაცვლად 150-170 საათს აღწევს.\*

## საირმის სამარხნალო მინისტრი ჭალაგი

საირმის სასმელი მინისტრი წყლების № 1, 5 და 4 წყაროები განლაგებულია მდინარე წაბლარას მარჯვენა ნაპირზე, № 3 კი მის მარცხენა ნაპირზეა. ყველა წყარო დაკაპაჟებულია.

კურორტის ცენტრიდან 2 კილომეტრის მოშორებით ნამარნევის ხევში მოთავსებულია № 7 ბურლილი. აღნიშნუ-

\*ცნობები კურორტის საირმის ჰავის შესახებ მოყვანილია საქ. კურორტოლოგიის ს/კ ინსტიტუტის კლიმატური თერაპიის განყოფილების მასალის მიხედვით. ავტორი რ კაგკასიძე.

ლი მინერალური წყლებიდან ბოთლებში წარმოებს მხრილოდ  
 3 ბურლილის წყლის ჩამოსხმა.

1932 წელს, როდესაც პირველი საექიმო ექსპედიცია ჩა-  
 ვიდა კურორტ საირმეში, საირმის მინერალური წყლების  
 დებიტი მცირე იყო. ვინაიდან ამ მინერალურ წყლებზე მოთ-  
 ხოვნილება ყოველდღიურად იზრდებოდა, ამიტომ 1934 წელს  
 საირმეში მივლინებული იყო ჰიდროგეოლოგიური ექსპედი-  
 ცია ა. ნოზაძის და შემდეგ, 1937 წლიდან, შ. ჩუბინიძის მე-  
 თაურობით. ჩატარებული სამუშაოების შედეგად მიღებული  
 იყო № 4 წყაროს წყალი და საგრძნობლად გაიზარდა დანარ-  
 ჩენი წყაროების დებეტიც.

საირმის მინერალური წყლების დებეტების საკითხის სა-  
 ბოლოოდ შესწავლას და მოგვარებას ხელი შეუშალა სამამუ-  
 ლო ომის დაწყებამ და ამ მიმართულებით სამუშაოები გაგ-  
 რდელდა მხოლოდ 1948 წლიდან.

1951, 1959 და 1966 წლებში საკაპტაჟო სამუშაოების ჩა-  
 ტარების შედეგად № 1 წყაროს ბაზაზე შექმნილია № 1-ა და  
 № 1-ბ წყაროები. ძველ № 3 წყაროს დაერქვა № 3-ა და ახალს  
 № 3-ბ წყაროს ბურლილი. ამ წყაროების გარდა, კურორტზე  
 ძველი № 2 წყაროს ბაზაზე მიღებულია № 5 წყაროს მინერა-  
 ლური წყალი. 1971 წელს კურორტის ტერიტორიაზე მიღე-  
 ბულია № 8 წყაროს წყალი.

კურორტის ტერიტორიაზე არსებული საირმის მინერა-  
 ლური წყლები თავიანთი მინერალიზაციის მიხედვით შეიძ-  
 ლება დავყოთ 2 ჯგუფად: შედარებით დაბალ და მაღალ მი-  
 ნერალიზებულ წყლებად. პირველს ეკუთვნის № 1 (1-ა—1-ბ),  
 № 8 და № 3 (3 ა—3-ბ) ჭაბურლილის წყალი. მეორე ჯგუფს  
 მიეკუთვნება № 2 (5) და № 4 (4-ა) წყაროს წყლები.

## საირმის მინისტრალური წყლების გიგანტური ჟამადგენლოგა

(უკანასკნელი 7 წლის მონაცემების მიხედვით)

ვიდრე მოვიყვანდეთ საირმის მინისტრალური წყლების ქი-  
მიური შედგენილობის ცხრილებს, გვინდა მოკლედ შევჩერ-  
ლეთ საკითხზე, თუ რა არის მინისტრალური, ანუ სამკურნალო  
წყალი.

ბუნებაში ქიმიურად სუფთა წყალი არ არსებობს, თუ არ  
მივიღებთ მხედველობაში გამოხდილ წყალს. ყველა დანარჩე-  
ნი შეიცავს მარილებს ამა თუ იმ რაოდენობით, რის გამოც ისი-  
ნი მინისტრალურ წყლებს წარმოადგენენ. იმ წყლებს, რომლებ-  
საც იყენებენ სამკურნალო მიზნით, მედიცინაში შინერალურ  
წყლებს უწოდებენ, მაგრამ ეს სახელწოდება არ შეეფერება  
სინამდვილეს, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბუნებაში  
არ არსებობს ისეთი წყალი, რომელიც არ შეიცავდეს არა-  
ორგანულ და ორგანულ ნივთიერებებს მეტ-ნაკლები რაოდე-  
ნობით. მაგრამ ყველა ისეთ წყალს არა აქვს სამკურნალო  
თვისებები, რის გამოც სამკურნალოდ იხმარება მხოლოდ გა-  
რკვეული სახის მინისტრალური წყლები. წყლებს, რომლებიც  
გამოიყენება სამკურნალო მიზნით, სასურველია ვუწოდოთ  
სამკურნალო მინისტრალური წყლები. თუმცა  
ეს განმარტებაც ვერ იძლევა წყლების სრულ შეფასებას.

მრავალი შეხედულება არსებობს იმის შესახებ, თუ რო-  
გორ წყლებს შეიძლება ვუწოდოთ სამკურნალო; მაგალითად,  
ზოგიერთი ფიქრობს, რომ ისეთი წყალი, რომელიც შეიცავს  
გარილებს არა ნაკლებ 1,0 გრ ერთ ლიტრზე, შეიძლება ჩა-  
ნთვალოს სამკურნალო წყლად, მაგრამ არსებობს მრავალი

ისეთი წყალი, რომელიც მარილებს შეიცავს 1,0 გ-ზე მეტად მაღალი მათი ფარმაკოდინამიკური მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე ძლიერია, ასეთებია: რკინა, დარიშხანი, იოდი, ბრომი და სხვ.

გარდა ამისა, არის ისეთი წყლებიც, რომლებიც მარილებს შეიცავენ იმდენად მცირე რაოდენობით, რომ მათ არსებობას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ თუ ამ წყლების ტემპერატურა შედარებით მაღალია ( $20^{\circ}$ -ზე ზევით), მაშინ მათ გარკვეული თერაპიული მოქმედება აქვთ:

როგორც ვხედავთ, მინერალური წყლის შეფასება არც თუ იმდენად მარტივი საკითხია.






თანამედროვე შეხედულებით, განმარტება სამკურნალო მინერალური წყლების მცნებისა შემდეგია: — სამკურნალო მინერალური წყალი შეიძლება ეწოდოს ისეთ წყალს, რომელიც მინერალებს შეიცავს ერთ ლიტრ წყალზე არა ნაკლებ ერთი გრამისა ან შეიძლება იგი 1,0-ზე ნაკლებიც იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მინერალური წყალი უნდა შეიცავდეს მძლავრ მოქმედ ორგანულ და არაორგანულ ნივთიერებას.

შეიძლება სამკურნალო წყალში არც იყოს ძლიერად მოქმედი იონები, მაშინ სამკურნალო წყალი ბუნებრივი მაღალი ტემპერატურით უნდა ხასიათდებოდეს ან შეიცავდეს გაზებს ( $\text{CO}_2$ ,  $\text{H}_2\text{S}$ , აზოტის, რაღონის ემანაციას და სხვ.).

როგორც ზემოთ იღვნიშნეთ, ასეთი განმარტება არ არის სავსებით ამომწურავი, ვინაიდან არსებობს ისეთი წყლები, რომლებსაც, გარდა ზემოაღნიშნული საში თვისებისა, ალბათ, კიდევ აქვს სხვა ისეთი თვისებები, რომლებიც ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია.


## საირმის მინერალური წყლების ქიმიური შედგენილობა

1961 წლის დეკემბერი  
 ანალიტიკოსი ვ. ფურცელაძე




### 1962 წ.


ს ა ი რ მ ი ს № 1 წყაროს ქიმიური ფორმულა




ს ა ი რ მ ი ს № 3<sup>δ</sup> წყაროს წყლის ქიმიური ფორმულა




ს ა ი რ მ ი ს № 4 ბურლილის წყლის ქიმიური ფორმულა



ს ა ი რ მ ი ს № 5 (2) ბურლილის წყლის ქიმიური ფორმულა



ს ა ი რ მ ი ს № 3 წყაროდან ბოთლებში ჩამოსხმული მინერალური წყლის ქიმიური ფორმულა



## სახარნალო წყლების წარმოშობის საკითხები

მინერალური წყლების წარმოშობის საკითხი რთულია და ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ამას ადასტურებს მინერალური წყლების წარმოშობის შესახებ წამოყენებული სხვადასხვა თეორია და მოსაზრება. ყველაზე უფრო გაბატონებულია მინერალური წყლების წარმოშობის ინფილტრაციის თეორია.

მინერალური წყლები ძირითადად წარმოიშობა დედამიწის სილრმეში.

ატმოსფერული ნალექები სხვადასხვა ფენებთან შეხებისას მდიდრდებიან სხვადასხვა მინერალების ხარჯზე. შემდეგ გარკვეულ პირობებში (წნევის გამო) ნაპრალების გზით ამოდიან დედამიწის ზედაპირზე (ზედაპირზე წყლის ამოუვანა შეიძლება გაბურღვითაც). ასეთ წყლებს ეწოდება ატმოსფერული წარმოშობის მინერალური წყლები.

რაც შეეხება საირმის მინერალური წყლების წარმოშობას, ის დაკავშირებულია შუა ეოცენის ტუფებთან და ტუფო-ქვიშაუვებთან. დედამიწის სილრმიდან წნევის ქვეშ მომდინარე ნახშირორუანგიანი მინერალური წყალი მიწის ზედა წრე-ებში და მღინარულ (ალუვიურ-დეალუვიურ) ნალექებში გავლისას მინერალიზაციის შემცირებასთან ერთად ჩანაცვლებითი რეაქციის გზით კალციუმით მდიდრდება, (ტ. ჩიჩუა, გ. მზარეულაშვილი).

1926 წლიდან დღემდე შესრულებული ქიმიური გამოკვლევების მიხედვით დადგენილია, რომ საირმის მინერალური წყლების ქიმიური ბუნება წელიწადის სხვადასხვა პერიოდში მცირე მერყეობას განიცდის და ტიპი კი უცვლელი

რჩება. საირმის მინერალური წყლები ჭიმიური (ბალნეოლურ-გიური) ფორმულის მიხედვით წარმოადგენს ნახშირმჟავა ჰი-დროკარბონატულ ნატრიუმ-კალციუმიან მინერალურ წყალს.

საირმის მინერალური წყლების წყაროები განსხვავდებიან მინერალიზაციის ხარისხის მიხედვითაც, მაგალითად, №4-ა წყაროს წყლის მინერალიზაცია ყველა დანარჩენზე მეტია 9,2—9,8 გ/ლიტრზე, № 1 წყაროსი ყველაზე ნაკლებია — 2,3 გ/ლიტრზე, № 3 წყაროს წყლის მინერალიზაცია უდრის 3,5—4,1 გ/ლიტრს.

ყველა წყაროს წყალი შეიცავს თავისუფალ ნახშირმჟავა აირს ( $\text{CO}_2$ -ს). მისი რაოდენობა საირმის მინერალურ წყლებში შეადგენს 0,6—1,7 გ/ლიტრს. იგი ამაზე ჭარბად არც ერთ წყალში არ არის წარმოდგენილი.

მინერალური წყლების ბუნებრივი ტემპერატურა 10,5—13,0°-ს არ აღემატება.

წლების მანძილზე ბოთლებში ჩამოსხმული საირმის წყლის ჭიმიურმა გამოკვლევამ დაგვარწმუნა, რომ მუქ ბოთლებში ჩამოსხმული საირმის მინერალური წყალი აღვილად იტანს ტრანსპორტირებას და თვეების განმავლობაში შეიძლება მისი შენახვა (გარკვეული წესების დაცვის შემთხვევაში). წყალი უნდა ინახებოდეს გრილ და ბნელ ადგილას. ეს გარემოება ხელს უწყობს საირმის მინერალური წყლის ფართო სამკურნალო გამოყენებას კურორტის გარეშე პირობებში.

შესაძლებელია ტრანსპორტირებულ საირმის წყალში ხდებოდეს სტრუქტურული ცვლილებები, რაც შემდეგი შესწავლის საკითხს წარმოადგენს.

# საირმის გინერალური წყლების სამკურნალო

## თვისებათი

(კლინიკურ და ექსპერიმენტულ დაკვირვებათა მიხედვით)

როგორც ზემოთ იყო მოყვანილი, პირველი მეცნიერული დაკვირვებანი საირმის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებზე იწყება მას შემდეგ, როდესაც 1932 წელს კურორტ საირმეში გაემგზავრა სამეცნიერო ექსპედიცია (აკად. ა. წულუკიძის და პროფ. ლ. ცისკარიშვილის ხელმძღვანელობით). ამ დრომდე კურორტ საირმის მინერალური წყლების სამკურნალო გამოყენება ემყარებოდა ემპირიას და მოკლებული იყო მეცნიერულ საფუძველს, რის გამოც ადგილი ჰქონდა ერთგვარ გაურკვევლობას საირმის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებათა შეფასებაში, რაც აფერხებდა კურორტის სამკურნალო ფაქტორების რაციონალურ გამოყენებას.

აღნიშნული ექსპედიციის მიზანი იყო ჩაეტარებინათ დაკვირვება საირმის მინერალური წყლის გავლენის შესასწავლად უროლოგიურ და საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ზოგიერთ დაავადებებზე და აგრეთვე შეეგროვებინათ ცნობები კურორტის ადგილმდებარეობის, კურორტზე სამკურნალო პირობებისა და მისი წარსულის შესახებ.

ექსპედიციამ შეისწავლა ზემომოყვანილი საკითხები და დაადგინა შემდეგი: კურორტ საირმეში არავითარი სამედიცინო მომსახურეობა და მეთვალყურეობა არ არის, ავალმყოფები ატარებენ თვითმკურნალობას, მინერალურ წყალს ღებულობენ თვითნებურად და დიდი რაოდენობით (დღეში 30—

2. შ. ფარჯანაძე, ა. გოგოშვილი

ტ. მერის სახ. 117.  
 სსრ სახელმწიფო  
 რესაზღვრის სამსახური  
 მ. საქართველოს მთავრობა

40 ჭიქამდე). კურორტზე არ არსებობს მეტეოროლოგიური სადგური, მინერალური წყლების წყაროები არ არის დაკავ-ტაჟებული და სხვ.

ექსპედიციამ თავისი გამოკვლევები და მოსაზრებანი კუ-რორტის შემდგომი განვითარების შესახებ მოახსენა საქარ-თველოს კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის ს/კ ინსტი-ტუტს და საქართველოს ექიმთა საზოგადოებას.

1933 წელს კურორტის პირობებში ა. წულუკიძემ, ლ. ცის-კარიშვილმა და ი. ალადაშვილმა ექსპერიმენტში (2 ძალლზე, შეისწავლეს საირმის № 1 და № 3 მინერალური წყლის გავლენა დიურეზზე, შარდში ქლორიდების და შარდის pH-ის ცვა-ლებადობაზე. ცდებით დადგინდა, რომ საირმის № 1 და № 3 წყაროს მინერალური წყალი მდინარის წყალთან შედარებით აძლიერებს დიურეზს, განსაკუთრებით დაკვირვების პირველ საათში და მეორე საათის პირველ ნახევარში. № 1 წყაროს წყლის გავლენით დაკვირვების მეოთხე საათზე დიურეზი მინიმუმამდე მცირდება. შარდის pH არ იცვლება, № 3 წყა-როს წყალი კი იძლევა შარდის pH-ის გადახრას ტუტიანო-ბისაკენ. მინერალური წყლის მიღებით შარდში ქლორიდების რაოდენობა არ იცვლება.

1936 წლის ზაფხულში დ. ცისკარიშვილმა საირმეში ჩაატა-რა კლინიკური დაკვირვება უროლოგიურ და კუჭ-ნაწლავის დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფებზე.

ავადმყოფებმა კურორტზე 12—14 დღე იმკურნალეს და დამაკმაყოფილებელი შედეგით გაეწერენ.

1936 წელს ვ. შუბლაძემ კურორტ საირმეში დაკვირვება ჩაატარა № 1 და № 3 საირმის მინერალური წყლის სამკურ-ნალო გავლენის შესასწავლად ამბულატორიულ ავადმყოფებ-

ზე. დაკვირვების ქვეშ აყვანილი იყო 16 ავადმყოფი თურქები, მეტგოჯა ნაწლავის წყლულით და ვიბრაციული გასტრიტით, 6 ახილით და 37 ქრონიკული კოლიტით.

საირმის მინერალური წყლით ჩატარებული მკურნალობის შედეგად წყლულოვანი დაავადებით და მუავე კატარით შეპურობილ ყველა ავადმყოფს აღენიშნა კუჭის წვენის მუავობის დაქვეითება. ანაციდური გასტრიტის ექვსივე შემთხვევაში კუჭის წვენის მუავეობა უცვლელად დარჩა, სამაგიეროდ დისპეპსიური მოვლენები უმრავლესობას მოეხსნა.

6. პეტრიაშვილმა (1949) კლინიკის და ექსპერიმენტის პირობებში შეისწავლა საირმის № 3 მინერალური წყლის ერთჯერადი მიცემის გავლენა კუჭის სეკრეციულ ფუნქციაზე.

ავტორის ექსპერიმენტული მონაცემებით, საკვებთან ერთდროულად მიცემული საირმის წყალი აძლიერებს კუჭის წვენის გამოყოფას, საკვების მიღებამდე 1 საათით აღრე მიცემული კი იწვევს კუჭის წვენის გამოყოფასა და მისი მუავობის შემცირებას. ავტორმა იგივე შედეგები მიიღო თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებულ 10, ნორმაციდული გასტრიტით დაავადებულ 20, სუბაციდური დაავადებით დაავადებულ 16 და ანაციდური გასტრიტით დაავადებულ 4 ავადმყოფზე.

1936 წლიდან დაწყებული 15 წლის მანძილზე კურორტ საირმის მინერალური წყლების სამკურნალო მოქმედების შესწავლას არ ექცეოდა ყურადღება. ეს გარემოება გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით: ზოგი მკვლევარის აზრით საირმის მინერალური წყლების სამკურნალო მოქმედების საკითხს არ სჭირდებოდა დაზუსტება და ჩატარებულ გამოკვ-

ლევებს საკმარისად სთვლილნენ კურორტისათვის ჩვენებული ბის და მკურნალობის მეთოდის შესაღენად.

ამ პერიოდში და დღესაც საქართველოს კურორტოლოგის და უროლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშავთა აზრით, 30-იან წლებში ჩატარებული გამოკვლევები თავისი მოცულობით და გამოყენებული კვლევის მეთოდების მიხედვით ვერ ამოწურავს საირმის ოთხივე წყაროს წყლის სამკურნალო მოქმედების მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებას. ამის გამო, დაწყებული 1952 წლიდან საქართველოს კურორტოლოგიის ს/კ ინსტიტუტის ექსპერიმენტულმა განყოფილებამ (ხელმძღვანელი პროფ. ა. ბაკურაძე) და კლინიკურმა განყოფილებამ (ხელმძღვანელი პროფ. შ. ფარჯანაძე) მეცნიერული კვლევის სრულყოფილი მეთოდების გამოყენებით დაიწყო საირმის სამკურნალო მინერალური წყლების სამკურნალო გავლენისა და მისი მოქმედების მექანიზმის საკითხების შესწავლა. ამ მხრივ აღსანიშნავია მ. ნოღიას, ე. კვიცარიძის, გ. ჩიმაკაძის ა. გოგოშვილის და სხვათა გამოკვლევები. ვიდრე აღნიშნულ ავტორთა გამოკვლევებზე შევჩერდებოდეთ, საჭიროა მოვიყვანოთ გ. ინასარიძის საინტერესო კლინიკური ექსპერიმენტული გამოკვლევები. ავტორმა ავალმყოფზე, რომელსაც ჰქონდა ნაღვლის საღინარის კანქვეშა ფისტულა (ტრავმის შედეგად), დაადგინა, რომ საირმის № 3 წყაროს მინერალური წყალი, ბორჯომის, წყალსაღენის და გამოხდილ წყალთან შედარებით უფრო ძლიერად იწვევს ნაღვლის წარმოშობას.

ავტორმა თავისი დაკვირვების შედეგები გამოსცა მონოურაფიის სახით. მ. ნოღიას ექსპერიმენტულ გამოკვლევებში შედარებული იყო საირმისა და ნაბელლავის მინერალური წყლების გავლენა დიურეზსა და შარლში ქლორიდების გა-

მოყოფაზე. ავტორის მონაცემებით, საირმის და ნაბეღლავის მინერალური წყლები აძლიერებს შარდის გამოყოფას უფრო მეტად, ვიდრე წყალსადენის წყალი. ეს ფაქტი საირმის მინერალური წყლის მიცემის შემთხვევაში უფრო მეტად არის გამოხატული და ამ დროს ადგილი აქვს აგრეთვე შარდის რეაქციის ცვლილებას ტუტიანობისაკენ.

ე. კვიცარიძის ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით, საირმის № 1 მინერალური წყლით გამოწვეული დიურეზის გაძლიერება ბევრადაა დამოკიდებული საჭმლის მომნელებელი მილის რეცეპტორების გაღიზიანებაზე. ავტორის აზრით, დიურეზის გაძლიერება დაკვირვების პირველ საათში მიგვითითებს საირმის მინერალური წყლის მოქმედების რეფლექსურ ხასიათზე. გ. ჩიმაკაძემ (პირველად) ექსპერიმენტში შეისწავლა საირმის № 4 მინერალური წყლის გავლენა კუჭის სეკრეციულ ფუნქციაზე. ავტორმა დაადგინა, რომ უშუალოდ ჭამის წინ მიღებული საირმის № 4 წყაროს წყალი აძლიერებს კუჭის წვენის გამოყოფას. საკვების მიღებამდე 1 საათით ადრე წყლის მიცემის შემთხვევაში ადგილი აქვს კუჭის წვენის გამოყოფის შემცირებას. უზმოზე მინერალური წყალი შედარებით სუსტად აღძრავს კუჭის სეკრეციას, ვიდრე დესტილირებული წყალი.

ა. გოგოშვილმა ექსპერიმენტისა და კლინიკის პირობებში შეისწავლა საირმის № 3 მინერალური წყლის ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმის ზოგიერთი საკითხი და ამ წყლის სამკურნალო თვისებები ქრონიკული გასტრიტების დროს.

ავტორმა დაადგინა, რომ უშუალოდ ჭამის წინ მიღებული საირმის მინერალური წყალი აძლიერებს კუჭის სეკრეციას.

საკვების მიღებამდე 15-30 წუთით ადრე მიცემული წყალი სუსტად აკავებს კუჭის წვენის გამოყოფას. პირუკუ შედეგი აღინიშნება 1—1 1/2 საათით ადრე მიცემის შემთხვევაში. ექსპერტების საირმის მინერალური წყალი აძლიერებს ევაკუაციურ მოქმედებას. ავტორის მონაცემებით, ქრონიკული გასტრიტების (მომატებული და დაკლებული მუავეობით) დროს საირმის № 3 წყლის მიღება დღეში 3-ჯერ, 200-450 მლ რაოდენობით (21 დღე) იძლევა დადებით სამკურნალო შედეგს, განსაკუთრებით დიდი დოზების გამოყენების შემთხვევაში.

ნ. ჩიკვაიძის დაკვირვებით, საირმის მინერალური წყალი № 3 დადებით სამკურნალო შედეგს იძლევა ქრონიკული ქოლეცისტიტების დროს. ავტორის აზრით, საირმის მინერალური წყალი აძლიერებს ნალვლის წარმოშობას და აწესრიგებს ნალვლის ბუშტის მოტორულ მოქმედებას და ეს ხელს უწყობს ავადმყოფის მდგომარეობის გაუმჯობესებას. იგივე დადებითი შედეგი მიიღო გ. ჩაჩიანმა საირმის № 3 წყაროს წყლის ქრონიკული ქოლეცისტიტების დროს გამოყენებისას. ავტორმა დაადგინა, რომ ამ წყლის გავლენით გამოსწორებას განიცდის ღვიძლის დარღვეული ფუნქციები და სხვ.

მოყვანილი ავტორების მონაცემებიდან ირკვევა, რომ როგორც კურორტზე, ისე მის გარე პირობებში მეტი ყურადღება დათმობილი ჰქონდა საირმის მინერალური წყლის გავლენის შესწავლას დიურეზსა და საშარდე გზების დაავადებებზე. შედარებით არასრულყოფილად არის შესწავლილი საირმის წყლების სამკურნალო მოქმედება საჭმლის მომნელელებ ორგანოთა დაავადებების დროს.

ზემოთმოყვანილი გამოკვლევები ძირითადად ჩატარებუ-

ლია 1937 წლამდე და შემდეგ 1953-57 წლებში. აღნიშნულ გამოკვლევებში ყველაზე მეტად გაშუქებულია საირმის № 1 წყაროს მინერალური წყლის სამკურნალო თვისებები. დღეისათვის ამ წყაროს წყლის დებიტი შედარებით № 3 წყაროს წყალთან მცირეა და ჭიმიური შემაღენლობის მხრივ ცვალებადი. აღნიშნულის გამო კურორტისა და მის გარეშე პირობებში უფრო ფართოდ გამოიყენება № 3 წყაროს (ბოთლებში ჩამოსხმული) წყალი.

ვინაიდან № 4 წყაროს მინერალური წყლის დებიტი ყველაზე მეტია და სხვა წყაროს წყლებთან შედარებით ნაკლებად შესწავლილი, ამიტომ მისი გამოყენება ძალზე შეზღუდულია. ამავე დროს საჭირო გახდა მთელი რიგი საკითხების ღრმად შესწავლა და დაზუსტება. აღნიშნულის გამო საჭართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტმა 1966 წლიდან დაიწყო საირმის № 3 და № 4 წყაროს წყლის სამკურნალო თვისებების ღრმად შესწავლა უროლოგიურ და საჭმლის მომნელებელ ორგანოთა და თირკმელის და საშარდე გზების კენჭოვანი დაავადების დროს. უკანასკნელ წლებში კურორტ საირმეში შესრულებული საექსპედიციო სამუშაოების შედეგად მიღებულია მთელი რიგი ახალი მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ საირმის მინერალური წყლის მაღალ სამკურნალო თვისებებს.

1966—67 წლებში უროლოგიის ინსტიტუტთან ერთად კურორტ საირმისა და მის გარეშე პირობებში პირველად შესწავლილი იყო საირმის № 3 წყაროს მინერალური წყლის სამკურნალო თვისებები საშარდე ორგანოების კენჭოვანი დაავადებების დროს. დაკვირვების შედეგად მიღებულია შემდეგი: საირმის № 3 წყაროს წყალი აუმჯობესებს. თირკმლის პარცი-

ალურ ფუნქციებს. აწესოიგებს შარლოვანის და დარღვეული ცილოვანი ცვლის მაჩვენებლებს. გარკვეულ დადებით გავლენას ახდენს სისხლში მარილოვანი ცვლის მაჩვენებლებზე. ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად გამოსწორებას განიცდის თირკმლების დარღვეული ფუნქციები და ნივთიერებათა ცვლის მაჩვენებლები (თ. უგულავა, ნ. მზარეულაშვილი, ნ. კვირიკაძე, ნ. პაპავა, ვ. გოგოშვილი და სხვ.).

1968-69 წლებში კურორტოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციამ (ვ. გოგოშვილი, ე. ადამია, ლ. საყვარელიძე, მ. გიგაური, ზ. ჯავახია, ნ. ლანჩჩავა) პირველად შეისწავლა საირმის № 3 და № 4 წყაროს მინერალური წყლის შედარებითი სამკურნალო მოქმედება ქრონიკული ქოლეციტიტების დროს.

ავტორებმა დაადგინეს, რომ საირმის № 3 და № 4 წყაროს მინერალური წყლები კარგ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენენ ქრონიკული ქოლეციტიტების სამკურნალოდ.

თუ ქოლეციტიტი მიმდინარეობს ყაბზობით, ამ დროს საირმის № 4 წყაროს მინერალური წყალი აწესრიგებს კუჭის მოქმედებას უფრო კარგად, ვიღრე № 3 წყაროს წყალი. დიდი რაოდენობით (ერთ ჯერზე 400 მილ.) მიღებული საირმის მინერალური წყალი უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიღრე მისი საშუალო დოზები (200-250 მილ). გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის უკმარისობის დროს დიდი დოზების მკურნალობა მიზანშეწონილი არ არის.

1970-71 წლებში ინსტიტუტის ექსპედიციის ორმა ჯგუფმა შეისწავლა შემდეგი საკითხები:

1. შაქრიანი დიაბეტის დროს საირმის № 3 მინერალური წყლის ეფექტიანობა კურორტისა და მის გარეშე პირობებში (ვ. გოგოშვილი, ე. ადამია და ნ. ლანჩიავა).

2. საირმის № 1 და № 3 მინერალური წყლების შედარებითი ეფექტიანობა საშარდე ორგანოების კენჭოვანი დაავალების დროს (ე. კვარაცხელია და ნ. ლანჩიავა).

ავტორების დაკვირვებით საირმის № 3 მინერალური წყალი, უმრავლეს შემთხვევაში, აწესრიგებს დარღვეული ნახშირწყლოვანი და ცნიმოვანი ცვლის მაჩვენებლებს.

ზოგ შემთხვევაში იწვევს შაქრის რაოდენობის შემცირებას სისხლში. ავალმყოფთა ზოგადი მდგომარეობა გაუმჯობესებას განიცდის.

აღნიშნული დადებითი შედეგი გამოწვეულია საირმის მინერალური წყლის ნივთიერებათა ცვლაზე მარეგულირებელი მოქმედებით. ის ხელს უწყობს ორგანიზმიდან შლაკების დროულად გამოყოფას, ლვიძლის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვ. ავტორების დასკვნით საირმის № 3 წყაროს წყალი შეიძლება გამოყენებული იქნეს შაქრიანი დიაბეტის I და II ა ფორმების დროს.

საირმის № 1 და № 3 წყაროს წყლის კენჭოვანი დაავალების დროს გამოყენებამ დადებითი შედეგი გამოიღო ორივე შემთხვევაში. ალინიშნა № 1 წყაროს წყლის მეტად გამოხატული დიურეზის გამაძლიერებელი მოქმედება (№ 3 წყაროს წყალთან შედარებით). ამ დროს ცილოვანი ცვლის მაჩვენებლები გამოსწორებას განიცდის. უმჯობესდება ავალმყოფის საერთო სტატუსი.

საქ. უროლოგიის ს/კ ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკის ე. კასაბიანის მონაცემებით საირმის № 3 წყაროს წყალი პი-

ელონეფრიტების დროს ავადმყოფის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად აწესრიგებს მარილოვანი ცვლის ზოგიერთ მაჩვენებლებს.

რ. სალაყაიას დაკვირვებით, კურორტ საირმეში ქრონიკული პიელონეფრიტების კომპლექსური მკურნალობის დროს ადგილი აქვს ავადმყოფის იმუნოლოგიური რეაქციების დადებითი მიმართულებით ცვლილებას.

## სამკურნალო მინერალური ჭყლის მოგავალის მაჩანიზმის საკითხი

მინერალური წყლის მოქმედების მექანიზმის საკითხი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაუჩვეველი იყო. ამ საკითხის გარკვევაში დიდი დამსახურება მიუძღვის აკადემიკოსი ი. პ. პავლოვს, ა. ალადაშვილს, ა. ბაკურაძეს, კ. ბიკოვს, ი. კურცინს, ა. როზენკოვს და სხვ.

პავლოვის სკოლის მიერ დადასტურებულია, რომ მინერალური წყლის მოქმედება ცოცხალ ორგანიზმზე ხორციელდება ნერვული და ჰიმორალური გზით, რომელთა შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. როგორც ცნობილია, კუჭ-ნაწლავის ლორწოვანი გარსი დაფარულია უამრავი რეცეპტორებით; კუჭში ჩასული მინერალური წყალი იწვევს მათ გალიზიანებას (ქიმიურ, თერმულ და სხვა ხასიათის). ეს გალიზიანება გადაეცემა თავის ტვინის ქერქს, საიდანაც სათანადო იმპულსები გრუნდება შესაბამის ორგანოებში. გარდა ამისა, მინერალური წყალი შეიწოვება ნაწლავიდან, გადადის სისხლში, შემდეგ კი სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში. ის მოდის

შეხებაში უჯრედებთან, იღებს გარკვეულ მონაწილეობას ნივ-  
თიერებათა ცვლაში.

მინერალური წყალი ნერვულ-ჰიმორალური გზით მოქმე-  
დებს ქსოვილთა და ორგანოთა ნივთიერებათა ცვლაზე და  
აწესრიგებს ორგანოთა დარღვეულ ფუნქციებს.

მინერალური წყლის ორგანიზმზე მოქმედება არ შეიძლე-  
ბა განხილული იქნეს კურორტის სხვა სამკურნალო ფაქტორ-  
თაგან (ჰავა, ლანდშაფტი, ჰეიზაჟი, სანატორიული რეჟიმი, კვება  
და სხვ.) იზოლირებულად. აღნიშნული ფაქტორები გარკვეულ  
გავლენას ახდენენ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და ხელს  
უწყობენ ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესე-  
ბას.

საირმის მინერალური წყლების ორგანიზმზე მოქმედების  
მექანიზმის საკითხების ექსპერიმენტში შესწავლამ დაგვარწ-  
მუნა, რომ საირმის მინერალურ წყალს შეუძლია რეფლექსუ-  
რად და ჰიმორალური გზით აღძრას კუჭის სეკრეციული მოქ-  
მედება. ასევე უნარი აქვს ამ გზით შეაკავოს ან გააძლიეროს  
კუჭის აღნიშნული ფუნქცია და თირკმელების დიურეზული  
მოქმედება. კლინიკური გამოკვლევების მიხედვით საირმის  
მინერალური წყლის დადებითი სამკურნალო მოქმედებისათ-  
კის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ წყალში კალციუმისა. და მან-  
განუმის იონების საკმაო რაოდენობით არსებობას.

საირმის წყლები ხშირ შემთხვევაში აწესრიგებენ თირკ-  
მელის, ღვიძლის და კუჭ-ნაწილავის დარღვეულ ფუნქციებს.  
ხელს უწყობენ ორგანიზმიდან ნივთიერებათა ცვლის შედე-  
გად წარმოქმნილი მავნე პროდუქტების გამოყოფას.

## მინერალური წყლის გამოყენების გზები

### მინერალური წყლის გამოყენება სასალად

რიგ დაავადებათა დროს მინერალური წყლები ფართოდ გამოიყენება სასმელად როგორც კურორტის, ისე მის გარეშე პირობებში. ექიმმა, ვიდრე დაუნიშნავდეს ავადმყოფს მინერალურ წყალს, კარგად უნდა შეისწავლოს, დაადგინოს მისი დაავადება. ყოვლად დაუშვებელია ავადმყოფს მანერალური წყალი დაენიშნოს შაბლონურად. აუცილებელია ავადმყოფისადმი ინდივიდუალური მიღვომა, მისი გულსისხლძარღვთა და თირკმელების ფუნქციური მდგომარეობის გათვალისწინება. თუ ავადმყოფი იმყოფება კურორტზე, მინერალური წყალი მანუნდა დალიოს უშუალოდ წყაროსთან, ვინაიდან დადასტურებულია, რომ მინერალური წყალი წყაროსთან უფრო აქტიური თვისებების მატარებელია, ვიდრე ჭურჭელში ჩამოსხმული, შენახული და გადატანილი.

ავადმყოფს მინერალური წყალი ენიშნება საკვების მიღებასთან დაკავშირებით 3—4-ჯერ დღეში, ერთ ჯერზე 200—400 მლ რაოდენობით, უფრო სწორად ერთ კილოგრამ წონაზე 3—4 მლ რაოდენობით.

როდის უნდა მიიღოს ავადმყოფმა მინერალური წყალი. ეს საკითხი დამოკიდებულია დაავადებაზე: თუ ავადმყოფს აქვს კუჭის სეჭრეცია და მუავობა მომატებული, ამ შემთხვევაში ავადმყოფმა მინერალური წყალი უნდა დალიოს საჭმლის მიღებამდე 1 — 1 1/2 საათით ადრე. დანიშნული წყალი უნდა იყოს გამთბარი ( $35—40^{\circ}$ ). ასეთი წესით მინერალური წყლის მიცემას საფუძვლად უდევს ი. პ. პავლოვის, მ. ალადაშვილის, ა. ბაკურაძის, კ. ბიქოვის, ი. კურცინის, ვ. ვლადიმერსკის და

ა. ვიშნევსკის კლასიკური შრომები, სადაც დაღასტურებულია, რომ თუ ავადმყოფს მინერალურ წყალს მივცემთ  $1-1\frac{1}{2}$  საათით ადრე საჭმლის მიღებამდე, ამ დროში წყალი კუჭიდან ასწრებს გაღასვლას თორმეტგოჯა ნაწლავში და რეჟლექსური გზით შემაკავებლად მოქმედებს კუჭის სეკრეტორულ აპარატზე და კუჭის წვენის გამოყოფა მცირდება.

წყლის სწრაფად დალევას ვურჩევთ იმ შემთხვევაში, როდესაც გვინდა კუჭში მინერალური წყალი დიღხანს არ დარჩეს და რაც შეიძლება ნაკლებად გააღიზიანოს მისი ლორწოვანი გარსის რეცეპტორული აპარატი.

თბილი მინერალური წყლის მიცემა ნაჩვენებია იმ შემთხვევაში, როდესაც კუჭიდან ევაკუაცია შენელებულია და სპაზმების გამო აღინიშნება ტკივილი. ამ დროს თბილი წყალი აწესრიგებს ევაკუაციას და აყუჩებს ტკივილს (ხსნის სპაზმებს).

იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფს კუჭის წვენის მუავობა დაქვეითებული აქვს, მინერალური წყალი უნდა მიიღოს აუჩქარებლად, რამდენიმე წუთის განმავლობაში. სჭობია ასეთ შემთხვევაში ავადმყოფმა წყალი მიიღოს სეირნობის დროს. საჭმლის მიღებამდე 15-30 წუთით ადრე. თუ ავადმყოფს აქვს კუჭის ატონია და პტოზი, წყალი უნდა მიიღოს ჭამის წინ 5-10 წუთით ადრე. ასეთი წესით წყლის მიღებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მინერალური წყალი ნაწილ-ნაწილ ხვდება კუჭში და იწვევს პირის ორუს და კუჭის რეცეპტორული აპარატის დიდი ხნით გაღიზიანებას და ამის შედეგად უფრო ძლიერად ხდება კუჭის წვენის გამოყოფა. ამ დაავადების დროს მიზანშეწონილია შედარებოთ დაბალი ტემპერატურის მინერალური წყლის მიცემა ( $12-15^{\circ}$ ).

თუ ავადმყოფს კუჭის მუავობა ნორმალური აქვს, მინერალურ წყალს ვაძლევთ ჭამის წინ 30—40 წუთით ადრე.

რა რაოდენობით უნდა მიიღოს ავადმყოფმა მინერალური წყალი, ეს დამოკიდებულია მინერალური წყლის ქიმიურ შემადგენლობაზე. დარიშხანიანი წყლები ავადმყოფს ენიშნება შედარებით მცირე რაოდენობით ჩაის ან სუფრის კოვზით, ხოლო ისეთი წყლები, რომლებიც ეკუთვნიან მცირე ან საშუალო მინერალიზაციის მინერალურ წყლებს, ერთჯერზე ენიშნებათ 200—400 მილილიტრის რაოდენობით, დღეში 3—4-ჯერ. დადგენილია, რომ დიდი რაოდენობით მინერალური წყლის მიღება (დღის განმავლობაში) მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს არასასიამოვნო შედეგებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ.

ბოლო წლებში რეკომენდებულია მინერალური წყლის მიღების შემდეგი წესი: კილოგრამ წონაზე ავადმყოფს ენიშნება 3-4 მლ, ე. ი. თუ ავადმყოფი იწონის 50 კგ. მან ერთ ჯერზე უნდა მიიღოს დაახლოებით 200 მლ. თუ ავადმყოფი იწონის 80 კგ, შან უნდა მიიღოს (ერთ ჯერზე) 340 მლ და თუ იწონის 100 კგ—400 მლ. ასეთი წესით მინერალური წყლის დანიშვნა უფრო სწორი და მიზანშეწონილია. რასაკვირველია, ექიმმა მხედველობაში უნდა მიიღოს გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და თირკმლის ფუნქციური მდგომარეობა.

### კუჭის აპორეცვა

კუჭის ზოგიერთი დაავადების დროს ფართოდ არის გამოყენებული კუჭის ამორეცხვა მინერალური წყლით. ეს ხდება შემდეგნაირად: ჩვეულებრივი ზონდით კუჭში შეჰქავთ 38-

40°-ზე გამობარი მინერალური წყალი. კუჭის ამორფულური  
აწარმოებენ რამდენიმეჯერ, ვიდრე კუჭიდან გამოსული წყალი  
არ გახდება გამჭვირვალე, რისთვისაც დაახლოებით 2-3 ლიტ-  
რი მინერალური წყალია საჭირო. კუჭის ამორფების აწარ-  
მოებენ დილით—უზმოზე. ღამით ამორფები საჭიროა იმ შემ-  
თხვევაში, როდესაც კუჭის ატონიის, პტოზის ან პილორუსის  
შევიწროების გამო საჭმელი დიდხანს რჩება კუჭში და ძნე-  
ლად გადადის ნაწლავებში. კუჭის ამორფების შემდეგ ავად-  
მყოფს ეხსნება დისპეფსიური მოვლენები და გრძნობს. შვებას.  
ამორფების შემდეგ კუჭი თავისუფლდება ანთებადი ლორწო-  
საგან, საჭმლის ნარჩენი ნაწილაკებისაგან და სხვ.

კუჭის ამორფება ენიშნებათ ისეთ ავადმყოფებს, რომ-  
ლებთაც აქვთ კუჭის ევაკუაციის ფუნქციის მოშლა, პილორუ-  
სის სპაზმი, კუჭის ატონია, პტოზი, კუჭის ლორწოვანის ქრო-  
ნიკული ანთების მოვლენები დიდი რაოდენობის ლორწოს  
გამოყოფით, აზოტება და სხვ. ღავადებები. აღნიშნულ შემ-  
თხვევაში ავადმყოფს უკეთდება 4—6 ამორფება დღეგამოშ-  
ვებით.

### მინერალური ჟულის შემთხვევა თორმეთგოჯა ნაწლავი

იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფს აქვს ნალვლის გა-  
მოყოფის შეფერხება ან ნალვლის გზებში ანთებითი მოვლე-  
ნები, შეიძლება თორმეტგოჯა ნაწლავში ზონდის საშუალებით  
შევიყვანოთ 38—40°-მდე გამობარი მინერალური წყალი,  
რაც იწვევს ნალვლის გაძლიერებულ და ხანგრძლივ გამოყო-  
რაც იწვევს ნალვლის გაძლიერებულ და ხანგრძლივ გამოყო-



ფას. ეს მანიპულაცია სწარმოებს შემდეგნაირად: დუოდენა ლური ზონაში შეჰვავთ თორმეტგოჯა ნაწლავში და როდვსაც ამოვა ნაღვლის პირველი ულუფა, ამის შემდეგ ზონაში საშუალებით თორმეტგოჯა ნაწლავში ვასხამთ გამთბარ მინერალურ წყალს 200-300 მილილიტრის რაოდენობით. ასეთი მინიპულაცია მეორდება 3—4 დღეში ერთხელ, სულ 4—5 ჯერ. არსებობს ნაღვლის ბუშტის ყრუ ამორეცხვა. ნაღვლის ბუშტის ყრუ ამორეცხვის დროს ავალმყოფმა უნდა დალიოს გამთბარი 2 ჩაის ჭიქა მინერალური წყალი და უნდა დაწვეს მარჯვენა გვერდზე, დაიღოს სათბური და იწვეს ამ მდგომარეობაში ორი საათი.

### მინერალური წყლის შეცვანა სფრი ნაწლავიდან

მინერალური წყლის სწორი ნაწლავიდან შეცვანას (კარგი თერაპიული ეფექტიანობის მიზნით) ფართო გამოყენება აქვს კურორტებზე. ის გამოიყენება სხვადასხვა სახით და სხვადასხვა მიზნით: 1) როგორც ნაწლავის გამასუფთავებელი საშუალება, 2) როგორც შესაწოვი საშუალება და 3) როგორც სიფონური ოყნა. ნაწლავის გასასუფთავებელი ოყნის გაკეთების შედეგ სწორ ნაწლავში ათავსებენ რბილი რეზინის მილს და შეცვა 500-1000 მილილიტრი 25-30°-მდე გამთბარი მინერალური წყალი, რაც შეეხება სიფონის ოყნას, ის კეთდება შემდეგნაირად: ავალმყოფს აწვენენ ზურგზე, ფეხებს მოახრევინებენ მუხლებში და სწორ ნაწლავში შეცვა რეზინის მილი, რომლის მეორე ბოლოზე გაკეთებულია ძაბრი. ამ ძაბრში ასხამენ მინერალურ წყალს 500 მილილიტრის რაოდენობით: ძაბრი

აწეულია ავადმყოფის დონიდან დაახლოებით 1—1,5 მეტრის სიმაღლეზე, მინერალური წყალი შედის სწორ ნაწლავში მით უფრო ღრმად, რაც უფრო მაღალი მდებარეობა აქვს ძაბრს. როდესაც ძაბრში წყალი ცოტა რჩება, მას სწრაფად დასწევენ ძირს, ისე, რომ მისი დონე იყოს ავადმყოფის მდებარეობის ქვევით. ამ შემთხვევაში წყალი უკან გამოდის სწორი ნაწლავიდან და თან გამოაქვს შიგთავსი, ლორწო და სხვა ჩამონარეცხი ნაწილები. ასეთ მანიპულაციას იმეორებენ 4—5-ჯერ, სანამ არ წამოვა ნაწლავიდან სუფთა სითხე. სიფონური ოყნის თითო გაკეთების დროს საჭიროა 4—5 ლიტრი მინერალური წყალი. ის კეთდება ღლეგამოშვებით, სულ 8—10-ჯერ. წყლის ტემპერატურა უნდა იყოს  $40-42^{\circ}$ . სიფონური ოყნის შედეგად უმჯობესდება ნაწლავების ფუნქცია, ლორწოვანი გარსიდან ანთებითი ლორწოს მოცილება, ნეკრეტული და სხვა ელემენტებისაგან განთავისუფლება, რაც იწვევს ნაწლავების დაქვეითებული მოტორული და სეკრეციული ფუნქციების გაძლიერებას. ამის გარდა, დაღასტურებულია, რომ სწორ ნაწლავში შეყვანილი მინერალური წყალი ლორწოვანის რეცეპტორების გალიზიანების გამო რეფლექსურად მოქმედებს კუჭის და ლვიძლის ფუნქციურ მდგომარეობაზე. ასეთი ოყნები ძალიან ხშირად ინიშნება ქრონიკული კოლიტების დროს.

რაც შეეხება მეორე სახის ოყნას, როდესაც მინერალურ წყალს იყენებენ ნაწლავიდან შეწოვის მიზნით, მას მიმართავენ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მისი დალევა არ ხერხდება, მაგალითად: პილორუსის სტენოზის, კუჭის ატონის, პტოზის და სხვათა დროს. როდესაც სითხე დიდხანს

ჩერდება კუჭიში და საჭმელთან ერთად აძლიერებს კუჭის სეკრეტის, ხმარობენ მიკრო-ან წვეთოვან ოყნებს.

უკანასკნელ დროს ფართოდ არის გამოყენებული „რექტალური შხაპი“. ეს პროცედურა მდგომარეობს შემდეგში: სწორი ნაწლავის წინასწარი გასუფთავების შემდეგ შიგ შეკავთ რბილი რეზინის მილი 15-20 სმ სიღრმეზე, ხოლო ჭურჭელს, რომელშიც ჩასხმულია მინერალური წყალი და შეერთებულია რეზინის მილის ბოლოსთან, ასწევენ  $1/2$  მეტრის სიმაღლეზე ავადმყოფის დონიდან და მინერალური წყალი თანდათან შეჰქავთ სწორ ნაწლავში. დასაწყისში წყლის ტემპერატურა 37 გრადუსია, ხოლო შემდეგ თანდათანობით უმატებენ ტემპერატურას და აჰეთ 40°-მდე. დასაწყისში სითხის რაოდენობა შეჰქავთ 200—300 მლ რაოდენობით, შემდეგ წყალს თანდათანობით უმატებენ 50-100 მლ-ით და საბოლოოდ შეჰქავთ 600—800 მლ-მდე (ტემპერატურა 40 გრადუსი).

ყაბზობის შემთხვევაში წყლის რაოდენობას თავიდან იღებენ 400-600 მლ და საბოლოოდ აჰეთ 1200—1500 მილილიტრამდე. წყლის ტემპერატურა ამ შემთხვევაში შედარებით დაბალია: სასურველია, რომ ავადმყოფმა ნაწლავში წყლი შეიკავოს 5—10 წუთის განმავლობაში.

ნაწლავის ასეთი შხაპი იხმარება ყაბზობის, შეტეორიზმის, ქრონიკული კოლიტების და სხვათა დროს. სასურველია მკურნალობის კურსი განისაზღვროს 10—12 პროცედურით, დღეგამოშვებით ან ორ დღეში ერთხელ.

### სუბაქვალური ანუ ნაფლავის ფუალევაზა გამორეცხვა

სუბაქვალური აბაზანები ფართოდ გამოიყენება როგორც კურორტებზე, ისე კურორტის გარეშე პირობებში. ამ პრო

ცედურის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: სპეციალური აბაზანაში, საღაც წყლის ტემპერატურა უდრის  $36-37^{\circ}$ , თავსდება ავალმყოფი. აღნიშნული ტემპერატურის წყლის აბაზანა იწვევს ავალმყოფის მუცლის პრესის მოღუნებას.

შემდეგ სპეციალური მოწყობილობის საშუალებით სწორ ნაწლავებში შეჰქავთ მინერალური წყალი. იმის გამო, რომ თბილი აბაზანის შედეგად მუცლის პრესი და კუნთები მოღუნებულია, შესაძლებელი ხდება მსხვილ ნაწლავში ერთჯერზე შევიყვანოთ 3—5 ლიტრის რაოდენობის მინერალური წყალი (რაც სხვა პირობებში არ ხერხდება). სათანადო მოწყობილობის მეშვეობით ნაწლავიდან გამოსული გამონარეცხი წყალი (სითხე) ისე უერთდება კანალიზაციას, რომ აბაზანაში ის არ შედის და არ აჭუჭყიანებს მას. მინერალური წყლის ტემპერატურა, რომელიც ნაწლავში შეჰქავთ, უდრის  $37-40^{\circ}$ . ნაწლავებში წყლის შეყვანა ხდება თანდათანობით, დაბალი წნევით. შეყვანილი წყლის რაოდენობა დასაწყისში არ უნდა აღემატებოდეს 1-1,5 ლიტრს, ხოლო შემდეგ თანდათანობით უმატებენ და ერთჯერად შეყვანილი წყლის რაოდენობა აჰყავთ 3—5 ლიტრამდე. პროცედურის ხანგრძლივობა უდრის 30 წუთს. სულ კეთდება 6—8 პროცედურა (2—3 დღეში ერთი პროცედურა).

პროცედურა ინიშნება ატონური და სპასტიკური ყაბზობის დროს; აგრეთვე ქრონიკული კოლიტის, ლვიძლის და ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთების დროს და სხვ.

პროცედურის დანიშვნა წინააღმდეგ ნაჩვენებია გულსისხლძარღვთა სისტემის კომპენსაციის მოშლის (ჰიპერტონული დაავადების, კორონარული ნაკლოვანების), სწორ ნაწ-

ლავში პოლიპების, სისხლმდენი ბუასილის და წყლულების  
დროს.

სუბაქვალური გამორეცხვის დანიშვნამდე ავადმყოფს  
უნდა გაუკეთდეს რექტორობანოსკოპია.

## კომპლექსური მართვალობის სავალასევა სახეები

კურორტებზე ავადმყოფთა მკურნალობის უკეთესი შედე-  
გების მისაღებად, გარდა ბალნეოლოგიური ან კლიმატური  
მკურნალობისა, ფართოდ გამოიყენება სხვა სამკურნალო სა-  
შუალებებიც, რომელთა სწორად დანიშვნა ზრდის ძირითადი  
კურორტული ფაქტორის სამკურნალო ეფექტს. ავადმყოფთა  
კომპლექსური მკურნალობის დროს პროცედურათა სწორად  
შერჩევა დიდად არის დამოკიდებული მკურნალი ექიმის ცოდ-  
ნასა და გამოცდილებაზე. ექიმი ცალკეულ შემთხვევაში სე-  
რიოზულად უნდა მიუდგეს ავადმყოფის მდგომარეობის შე-  
ფასებას, დაავადების თავისებურებას და ამის შემდეგ სწო-  
რად უნდა შეარჩიოს კომპლექსური მკურნალობის ცალკე-  
ული პროცედურები. მხოლოდ ასეთი მიღვომით შერჩეული  
კომპლექსური მკურნალობა იძლევა სასურველ შედეგს, ამა-  
ვე დროს მკურნალმა ექიმმა ძალიან ფრთხილად უნდა განსაზ-  
ღვროს პროცედურათა რაოდენობა.

ქვემოთ მოგვყავს მოკლე განმარტება იმ კომპლექსური  
ელემენტებისა, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს  
ავადმყოფთა მკურნალობის დროს.

სანატორიული რეჟიმი. სანატორიული რეჟიმის  
დაცვას ავადმყოფისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს

როგორც მისი ჯანმრთელობისათვის, ისე დადებითი ჩვევების, გამოსამუშავებლად (თავის დროზე დაძინება, კვება, სეირნობა, გართობა, მოსვენება და სხვ.). ამიტომ მკურნალი ეჭიმისა და მთელი სანატორიუმის სამედიცინო პერსონალის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს მკაცრად დაიცვან სანატორული რეჟიმი და ავადმყოფი დაემორჩილოს ამ რეჟიმს.

**რაციონალური და სამკურნალო კვება.**  
 რაციონალურ და სამკურნალო კვებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა ჯანმრთელობისა და შრომის ნაყოფიერებისათვის რაციონალური სამკურნალო კვების ორგანიზაციის მეცნიერულ საფუძველზე დაყენების მიზნით. პარტიისა და მთავრობის სათანადო დადგენილებით ჩვენს ქვეყანაში შექმნილია სპეციალური სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები, რომელთა საშუალებითაც ხდება კვების ნორმების დადგენა, ეფექტური სამკურნალო კვების გამომუშავება და სხვ.

დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის და მისი სკოლის კლასიკური შრომების საფუძველზე დადგენილია სხვადასხვა საკვებ ნივთიერებათა გავლენა საჭმლის მომნელებელ ორგანიზმისა და ნივთიერებათა ცვლაზე. საბჭოთა მეცნიერებმა დეტალურად დამუშავეს რაციონალური სამკურნალო კვების საკითხები, რაც ამჟამად ფართოდ არის გამოყენებული როგორც კურორტებზე, ისე სხვა სამკურნალო დაწესებულებებში.

ვინაიდან რაციონალურ და სამკურნალო კვებას ავადმყოფთა მკურნალობაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ, ჩვენი აზრით, მკურნალი ეჭიმი და ავადმყოფი უნდა

იცნობდეს მის ძირითად პრინციპებს, რაც დაეხმარება გულებრივი მკურნალობის ჩატარებაში.

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ჯანმრთელი ადამიანის საკვები უნდა შედგებოდეს იმავე ნივთიერებებისაგან, რისგანაც ძირითადად შესდგება მისი ორგანიზმი, ე. ი. ცილების ცხიმებისა და ნახშირწყლებისაგან. ეს ნივთიერებები ძონაწილეობას იღებენ ორგანიზმის უჯრედების აღდგენასა და ენერგიის წარმოშობაში. ამას გარდა, ორგანიზმებს ესაჭიროება კიდევ სხვა ნივთიერებებიც, როგორიც არის წყალი, სხვადასხვა მარილები და განსაკუთრებით ვიტამინები.

დადასტურებულია, რომ ჯანმრთელმა ადამიანმა, რაციონალური კვების დროს, ერთ კილოგრამ წონაზე უნდა მიიღოს 1,5—2 გ. ცილა, ე. ი. თუ ადამიანი იწონის საშუალოდ 70 კილოგრამს, უნდა მიიღოს დღე-ლამეში 105—120 გ ცილა. აქედან, სულ ცოტა, ნახევარი უნდა მოდიოდეს ხორცეულობაზე.

კილოგრამ წონაზე ჯანმრთელ ადამიანს ესაჭიროება 1,0—1,5 გ ცხიმი. თუ ადამიანი იწონის 70 კგ., დღე-ლამეში მას დასჭირდება დაახლოებით 80—105 გრამამდე ცხიმი. რაც შეეხება ნახშირწყლებს, ადამიანი ყველაზე მეტი რაოდენობით ხარჯავს მას და კილოგრამ წონაზე დღე-ლამეში ესაჭიროება 6—8 გრამამდე; 70 კგ. წონაზე ჯანმრთელ ადამიანს დღე-ლამეში დასჭირდება 420-560 გრამი. თუ ამ მონაცემებს გამოვხატავთ კალორიებში, აღმოჩნდება, რომ ჯანმრთელი ადამიანი მუშაობის დროს ხარჯავს დღე-ლამეში 3500—4200 კალორიას, საშუალოდ კილოგრამ წონაზე 50-60 კალორიას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის პროპორცია, რომელიც მოცემულია ცხიმებს, ცილებსა და ნახშირწყლებს შორის,



რაციონალური კვების დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება წონასწორობის დარღვევა ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლაში, რასაც მოჰყვება არასასურველი შედეგები. ჩამოთვლილი საკვები ნივთიერებების გარდა, როგორ ზევით ავლნიშნეთ, ორგანიზმს აუცილებლად ესაჭიროება წყალი, მარილები და სხვა-ღასხვა ვიტამინები. ეს ნივთიერებები კალორიუს შექმნაში მონაწილეობას არ იღებენ, მაგრამ აღამიანის სხვადასხვა დაავადების დროს მათი რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკვები პროდუქტები-საგან დამზადებულ კერძებს. კვების ინსტიტუტის მიერ შემუშავებულია სპეციალური სამკურნალო კვების მაგიდები სხვადასხვა დაავადებისათვის, რომელთა რაოდენობა უდრის თხუთმეტს. საორიენტაციოდ მოგვყავს მათი ნიმუშები:

მაგიდა № 1-ა, № 1-ბ და № 1. სამკურნალო კვების № 1-ა მაგიდა ინიშნება წყლულოვანი დაავადების გამწვავების პერიოდში: ამ შემთხვევაში ავადმყოფს ეძლევა რძე, ნალები, კარაქი, თოხლო კვერცხი, ლორწოვანი წვენი, თათარა და სხვ. ავადმყოფი ლებულობს საკვებს ყოველ 3—4 საათში ცოტა რაოდენობით. ავადმყოფი იმყოფება ამ კვებაზე ორი კვირის განმავლობაში. საერთო კალორიუ უდრის 1500—1800 კალორიას.

№ 1-ბ მაგიდა გამოიყენება წყლულოვანი დაავადების მწვავე მოვლენების გავლის შემდეგ, მაგალითად, № 1-ა მაგიდას ემატება რძის ფაფები, დაკეპილი ხორცი ან პიურე, 30 გ ბისკვიტი.

№ 1 მაგიდა ინიშნება კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკულ-წყლულოვანი დაავადებისა და ქრონიკული გასტ-

ტრიტების დროს (მაღალი მუავობით), ავადმყოფს ეძლება დაკეპილი საკვები პროდუქტები, მანქანაში გატარებული ან გახეხილი ხორცი. საჭმელი კეთდება ორთქლზე და იხმარება ექსტრაქტულ ნივთიერებათა მოცილების შემდეგ (ხორცის წვენს არ აძლევენ, რადგან იგი შეიცავს ექსტრაქტებს, რომელიც მძლავრ გამლიზიანებლად ითვლება). პური უნდა იყოს კარგად გამომშრალი, უმჯობესია წინა დღის. კვირაში ორჯერ შეიძლება შავი ხიზილალა და ახალი უმარილო ყველი. წვნიანი მზადდება უმთავრესად გახელილი ბოსტნეულის, ბურლულისა და რძისაგან. ხორცეული შეიძლება ყველა სახის, მხოლოდ დაკეპილი და ორთქლზე მომზადებული ან მოხარშული. თევზეულიდან — ქარიყლაპია და ფარგა (მოხარშული), რძის ნაწარმიდან — ახალი კარაქი, არაუანი, ტკბილი ნალები, კვერცხი თოხლოდ მოხარშული ან ორთქლზე მომზადებული ომლეტის სახით. ტკბილეულიდან — უელე, თათარა, კრემი, კომპოტი და სხვა.

№ 2 მაგიდა ინიშნება ქრონიკული გასტრიტების ისეთ შემთხვევაში, როდესაც კუჭის მუავეობა დაჭვეითებულია, პური უნდა იყოს კარგად გამომშრალი, წინა დღის (თეთრი), ნამცხვარი ხილფაფით, ღვეზელი, ნამცხვარი, ხორცი და თევზი (წვნიანი). ხორცეულობა და თევზეულობა უმჯობესია დაკეპილი და შემწვარი, ხანდახან დასაშვებია მოხარშულიც; რძის ნაწარმი: მაწონი, მუავე ნალები, არაუანი, ოდნავ მარილიანი კარაქი, გახეხილი ყველი; შეიძლება გახეხილი ქაშაყი და ხიზილალა; ტკბილეულობა: ნაყინი, თათარა, კომპოტი, უელე, კრემი.

№ 3 მაგიდა ინიშნება ყაბზობის დროს. ამ დროს გა-

მოსაყენებელი საკვები პროდუქტები მოქმედების მიხედვით  
 შეიძლება დაიყოს ექვს ჯგუფად:

I ჯგუფი. ამ ჯგუფში შედის ისეთი პროდუქტები, რომ-  
 ლებიც იწვევენ ნაწლავთა მექანიკურ გაღიზიანებას, ასეთებს  
 ეკუთვნის: შავი პური, კომბოსტო, თეთრი ბოლოკი, ჭარხალი,  
 მწვანილი და სხვა ბოსტნეული, ხილი, მუხუდო, სატაცური,  
 კიტრი, სოკო, გამომშრალი უგრეხელის ფაფა.

II ჯგუფი. ამ ჯგუფში შედის ნახშირწყვლიანი პრო-  
 დუქტები, რომლებიც დულილის პროცესის გაძლიერების შე-  
 დეგად იწვევენ პერისტალტიკის გაძლიერებას: შაქარი, თაფ-  
 ლი, მურაბა, შავქლიავი, ყურძენი, მარწყვი, ალუბალი, ქიშ-  
 მიში, ნესვი და საერთოდ ტკბილი ხილი.

III ჯგუფის პროდუქტები დიდი რაოდენობით შე-  
 იცავენ სიმჟავეს: მაწონი, არაუანი, ხაჭო, კეფირი.

IV ჯგუფში შედის: ვაშლის ნაყენი, მოცხარი, ხურტ-  
 კმელი, პურის ბუხარი, მუავე შჩი, ლიმონი და სხვ.

V ჯგუფის პროდუქტები შეიცავს მარილის დიდ რა-  
 ოდენობას: ქაშაყი, ხიზილალა, მლაშე თევზი, შაშხი და მლაშე  
 ყველი.

VI ჯგუფში შედის: ცივი სასმელები, გაზიანი წყლე-  
 ბი, მოცვი და მსხალი.

მაგიდა № 4-ა, № 4-ბ და № 4 — ეს მაგიდები ინიშნება  
 ფალარათობის სხვადასხვა ფორმის დროს, მაგალითად:

№ 4-ა მაგიდა ენიშნებათ ფალარათის ისეთ შემთხვევებ-  
 ში, როდესაც ნაწლავებში მიმდინარეობს დულილის პროცესი.  
 ამ დროს ნახშირწყვლები იზღუდება 50 გ-მდე: ხორცეული და  
 თევზეულობა — მოხარშული, უმთავრესად დაკეპილი, აგრეთ-  
 ვე, ხორცის წვნიანი, შავი ყავა, მაგარი ჩაი, მოცვის უელე, ყა-

ვის და შოკოლადის კრემი (არ ეძლევათ ხილი, ბოსტნეული და მწვანილი), კვერცხი ინიშნება იშვიათად.

№ 4-ბ მაგიდა ენიშნებათ ლპობითი დისპეფსიის დროს, ცილა იზლუდება 50 გრამამდე დღე-ღამეში. ნახშირწყლები — 200 გ ავადმყოფს ეძლევა შავი ყავა და ჩაი, ლორწოვანი წვნიანი. ცოტა კარაქი, გახეხილი ბურლულის ფაფა წყალზე, თათარა და ჟელე (არ შეიძლება ხორცეული და თევზეულობა, ხილი, ბოსტნეული და მწვანილი).

№ 4 მაგიდა ენიშნებათ შერეული ფორმის კოლიტის დროს. დასაშვებია, ცილა — 70,0 გ, ნახშირწყლები 25,0—300,0 გ, მაგარი ჩაი, რკოს ყავა წყალზე ან ცოტა ნალებით (ერთი სუთ-რის კოვზი ჭიქაზე), კაკაო წყალზე, ხანდახან ხაჭო მცირე რა-ოდენობით, კეფირი № 3, მჭლე ხორცი მოხარშული ან ორთ-ქლზე მომზადებული პიურეს ან კატლეტის სახით, თევზეული— მოხარშული (ფარგა), ფაფები — წყალზე მოხარშული (უგრეხელის და ფეტვის, ბურლულის გამოკლებით), ტკბილე- ული, მოცვის ჟელე ან კისელი, ყავის ან შოკოლადის კრემი, ჟელე წითელ ღვინოზე, ხილი და ბოსტნეული, მწვანილი არ შეიძლება.

№ 5 მაგიდა ენიშნებათ ლვიძლით დაავადებულ ავად- მყოფებს. ეს მაგიდა ითვალისწინებს ცილების, ცხიმების და ქოლესტერინის შემცველი პროდუქტების შეზღუდვას. ავად- მყოფს ეძლევა წინა დღის გამოცხვარი კარგად გამომშრა- ლი შავი ან თეთრი პური, ჩაი, ყავა, რძე ან მაწონი, ომლეტი (კვერცხის ცილისაგან), მოხარშული ხორცეული დღეგამოშ- ვებით (ხორცის მაგიერ შეიძლება სოუსები — ვეგატერიანუ- ლი და არაუანისა: ბოსტნეულობა და მწვანილი შეუზღუდ- ველად, ყოველგვარი ხილი, ფაფეულობა და ტკბილეულობა,

(უნდა შეიზღუდოს პამილორი და კაკაო, რომელიც იწვევს ნაღვლის კონცენტრაციის გაზრდას).

შენიშვნა: თუ ავადმყოფს აქვს კუჭის დაავადებაც, ამ შემთხვევაში სამკურნალო კვება კომბინირებული უნდა იქნეს კუჭის წვენის მჯავრობის მიხედვით, თუ ამავე დროს ავადმყოფს აქვს დისპეფსიური კოლიტი, იმისდა მიხედვით, თუ რომელი სახის დისპეფსიაა, უნდა შევუზღუდოთ ნახშირწყლები ან ცილები.

№ 6 მაგიდა ენიშნებათ პოლაგრის დროს. ამ შემთხვევაში ავადმყოფს უზღუდავენ პურინის შემცველ ნივთიერებებს (ცერცვი, მუხულო, ლვიძლი, და სხვ.), იზღუდება თევზეულობა და ხორცი, დასაშვებია რძას ნაწარმი და ბოსტნეულობა.

№ 7 მაგიდა. ეს მაგიდა ენიშნებათ თირკმლების დაავადების დროს. გარდა პურინის შემცველი ნივთიერებებისა (როგორც № 6 მაგიდა), იზღუდება კაკაო, შოკოლადი, სუფრის მარილი, ხორცი შემწვარი სახით.

№ 8 მაგიდა ინიშნება სიმსუქნის საწინააღმდეგოდ. ამ დროს სამკურნალო კვება შეღგენილია იმ ვარაუდით, რომ გაძლიერდეს ნივთიერებათა ცვლა, დიურეზი და ავადმყოფმა დაიკლოს წონაში.

ავადმყოფს მენიუ ისე უნდა შევუდგინოთ, რომ მან შიმშილი არ იგრძნოს. ნახშირწყლები იზღუდება 250-გ-მდე, ცხიმები — 80 გ-მდე, ცილები — 100 გ-მდე, მარილი — 8 გ-მდე (ნაჩვენებია განმტკირთავი დინტები 10 დღეში ერთხელ). საკვები უმთავრესად შედგება ხილისა და ბოსტნეულისაგან: ეძლევა შავი პური დღეში 300 გ, წვნიანი საჭმელი — უცხიმო, 300 მლ რაოდენობით, მოხარული ხორცეული და თევზეულობა (ნაკლებად ცხიმიანი), ტკბილეულობა — კომპოტი

თათარა და სხვ. მზადდება სახარინზე, მკვეთრად იზღუდჟის ნამცვარი და საუონდიტრო ნაწარმი.

№ 9 მაგიდა განკუთვნილია შაქრიანი დიაბეტით და-ავადებულთათვის. ავადმყოფს უნდა დაენიშნოს სამკურნალო კვება ინდივიდუალური მიღვომით (ძირითადად ნახშირწყლების შეზღუდვით). ნახშირწყლების შეზღუდვა დამოკიდებულია დაავადების სიმძიმეზე, ავადმყოფის წონაზე და იმაზე, თუ რით უხდება მკურნალობა, აბებით თუ ინსულინით.

№ 10 მაგიდა ენიშნებათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების დროს I—II ხარისხის უკმარისობის დროს). ავადმყოფს შეიძლება მიეცეს ჩაი, რძე და მისი ყველა სახის ნაწარმი, კარგად გამომშრალი შავი ან თეთრი პური, კვერცხი. ხორცი ორ-სამ დღეში ერთხელ, მოხარული და თევზეული—100—150 გ, სოუსები—ვეკეტერიანული, ხილი, ბოსტნეული და სხვ.

№ 11 მაგიდა ენიშნებათ ტუბერკულიოზით დაავადებულებს.

№ 12 მაგიდა ენიშნებათ ნერვული სისტემის დაავადების დროს. უნდა შეიზღუდოს ცხარე, ექსტრაქტული ნივთიერებანი, ხორცეული და თევზი. ავადმყოფს ხორცის სოუსები არ ეძლევა. იგი იკვებება უმთავრესად რძის, ბოსტნეულის და ხილის პროდუქტებით.

№ 13 მაგიდა ენიშნებათ ინფექციური დაავადების დროს.

№ 14 მაგიდა ენიშნებათ ფოსტატურიის დროს. ავადმყოფს ეძლევა ხორცეული, თევზეული, ხორცის სოუსები, სხვადასხვა ბურლული, ვაშლი, საზამთრო. არ შეიძლება მიეცეს ის პროდუქტები, რომლებიც შეიცავს კალციუმის და ფოსფორის მარილებს: ისპანახი, მარწყვი, ყურძენი, რძე,

ყველი, კვერცხის გული, კარაქი, კარტოფილი, მუხუდი  
ბრინჯი და სხვ.

№ 15 მაგიდა არის რაციონალური კვების მაგიდა. აქ  
შედის შერეული საკვები ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები  
და სხვა აუცილებელი ნივთიერება.

მკურნალობის პროცესში ზოგჯერ დასაშვებია დანიშნული  
სამკურნალო კვების შეცვლა საერთო ან სხვა რომელიმე მა-  
გიდით, რაც ორგანიზმს აჩვევს ამა თუ იმ სახის კვებისადმი  
ამტანობას. ასე მაგალითად, ავადმყოფს, რომელსაც მისი და-  
ავადების მიხედვით დანიშნული აქვს № 2 მაგიდა, შეიძლება  
ყოველ ხუთ დღეში ერთხელ დავუნიშნოთ საერთო მაგიდა,  
ან № 5 მაგიდა, ასეთი შეცვლით უკეთეს ეფექტს ვლებულობთ  
მკურნალობაში.

ზოგიერთ დაავადებათა მკურნალობის დროს კიდევ უფ-  
რო მეტ ეფექტს ვლებულობთ განმტვირთავი დიეტების და-  
ნიშვნით, ასე მაგალითად:

1. რძის დღე (1—1,5 ლიტრი რძე 5—6 მილებაზე) — სიმსუქ-  
ნის დროს 5—6 დღეში ერთხელ.

2. კეფირის დღე (კვირაში ერთხელ 1,0—1,5— ლიტრი კე-  
ფირი 5 მილებაზე) — სიმსუქნის დროს.

3. ვაშლის დღე (1,5 კგ ვაშლი 5 მილებაზე) — ჰიპერტონუ-  
ლი დაავადების სიმსუქნის დროს.

5. კომპოტის დღე (1,5 კგ კილოგრამი ხილის ან 250 გ ჩი-  
უნი ერთ მილებაზე) — სიმსუქნის და არტერიოსკლეროზის  
დროს.

5. კომპოტის დღე (1,5 კილოგრამი ხილის ან 250 გ ჩი-  
რის, 50 გ ბრინჯისა და 100 გ შაქრისაგან მომზადებული კომ-  
პოტი ხუთ მილებაზე). გულისა და სისხლძარღვთა სისტემის

დაავადების, ლვიძლის დაავადებისა და პოდაგრის შემთხვევაში მართვა შეიძლება.

ფიზიოთერაპიული პროცედურები. საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაავადების დროს ფართოდ გამოიყენება ფიზიოთერაპიული პროცედურები. მათი დანიშნულებაა გააუმჯობესონ ორგანიზმის საერთო მდგომარეობა, ასწიონ ქსოვილთა და ორგანოთა ტონუსი, ხელი შეუწყონ სპასა ტიკური მოვლენების მოსპობას. ქრონიკული ანთებითი პროცესების შენელებას და სხვ. ნერვული სისტემის დასამშვიდებლად და ტონუსის ასაწევად ხშირად გამოიყენება წყლის პროცედურები ინდიფერენტული აბაზანების სახით — 34—36°, 10-15 წუთს, 12—15 აბაზანა (როგორც დამაშვიდებელი), შხაპები,— ცირკულარული, შარკოსი, მარაოსებრი, შოტლანდიური და სხვ. (როგორც ტონუსის ამწევი), სულ 12-15 პროცედურა.

ელექტროპროცედურებიდან ფართო გამოყენება აქვს გალვანურ დენს, როგორც ტკივილდამაყუჩებელ საშუალებას, რომელსაც უნიშნავენ როგორც უშუალოდ კუჭის არეზე, ასევე სიმპათიკური ნერვული სისტემის სეგმენტებზე რეფლექტორული მოქმედების მიზნით, პირველ შემთხვევაში დადებით პოლუსთან შეერთებული ელექტროდი თავსდება კუჭის არეზე, უარყოფითი — მოპირდაპირე მხარეზე. დენის ძალა უნდა იყოს 20—30 მილიამპრი, ხანგრძლივობა — 15—20 წუთი. სულ 15—20 პროცედურა. მეორე შემთხვევაში სათანადო ზომის ელექტროდები თავსდება კისრის სიმპათიკურ კვანძებზე ან შჩერბაკის გალვანური საყელოს სახით, თუ ავადმყოფს აქვს შუცლის პრესის, კუჭის ან ნაწლავთა კუნთოვანი ქსოვილის ატონია, ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ სტაბილური

ან ლაბილური ფარადიზაცია, რასაც შეუძლია კუნთების,  
ტონუსის გაძლიერება.

ანთებითი პროცესების და ტკივილების დაყუჩჩების  
მიზნით აგრეთვე ფართოდ ვიყენებთ ამპლიპულს და  
ულტრამაღალი სიხშირის ელექტროველს. მოკლე ტალ-  
ლიანი დიათერმიის გამოყენება შეიძლება ელექტროლების მო-  
თავსებით როგორც კუჭზე, ღვიძლზე ან სხვა დაავადებულ ორ-  
განოზე. აგრეთვე ეგოროვ-გროტის მეთოდით კისრის სიმ-  
პათიკურ კვანძებზე. ამ შემთხვევაში ორი ელექტროლი, ზო-  
მით  $5 \times 10$  სმ, თავსდება კისრის ორივე მხარეზე, სიმპათიკურ  
კვანძებზე: დენის ძალა 1,5 მილიამპერია — 15 — 20 წუთის  
ხანგრძლივობით. ულტრამაღალი სიხშირის ელექტროველის  
ელექტროლები დაავადებულ ორგანოზე თავსდება 3—5 სან-  
ტომეტრის უალედებით (ელექტროდსა და სხეულს შორის)  
15—20 წუთის ხანგრძლივობით.

როგორც ეფექტურ სამკურნალო საშუალებას, ფართო გა-  
მოყენება აქვს აგრეთვე  $40-42^{\circ}$  ტემპერატურის ტალახის  
აპლიკაციებს 15 წუთის ხანგრძლივობით. მკურნალობის კურ-  
სი 10—12 პროცედურა.

ორგანიზმის საერთო ტონლსის ასაწევად გამოიყენება აგ-  
რეთვე ულტრაიისფერი სხივებით ღასხივება. ღასხივებას იწ-  
ყებენ  $1/2$  ბიოდოზით (ერთ გვერდზე  $1/4$  ბიოდოზა და მეორე-  
ზე—ამდენივე), შემდეგ ყოველდღე უმატებენ  $1/2$  ბიოდოზას  
და ადიან  $4—5$  ბიოდოზამდე. ულტრაიისფერი სხივები შეიძ-  
ლება გამოიყენებული იქნეს ერთეუმული დოზებითაც. ამ შემ-  
თხვევაში ასხივებენ სათანალო სიმპათიკური კვანძების არეს  
(200—300 კვ. სმ ფართობს).

ერითემულ დოზებს ხმარობენ აგრეთვე კუჭის წვენის მუა-

ვობის დაქვეითების შემთხვევაში (კუპის აქეს ასხივებენ — 4—5 ბიოლოგით) იმ შოსაზრებით, რომ ერითმული დოზები წარმოშობს ჰისტა მინის მსგავს ნივთიერებებს, რაც აძლიერებს კუჭის სეკრეციას.

ტკივილის დასაყუჩქებლად ფართოდ იყენებენ სათბურებს, სოლუქსს, მინის სანათურას და სხვ.

მზისა და ჰაერის აბაზანები. მზისა და ჰაერის პროცედურების გამოყენება საირმის პირობებში სრულიად მისაღებია, ამიტომ მათ სწორ დანიშვნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

ჰაერის აბაზანას უნიშნავენ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ორგანიზმის ტონუსის აწევა, გაკაუება, გამოწრობა და სხვ. ამ პროცედურას აკეთებენ შემდეგნაირად: სპეციალურად მოწყობილ აერარიუმში (აივანზე ან ხის ქვეშ, ჩრდილში) ავაღმყოფი მთლიანად შიშველი წვება ტახტზე ან დასეირნობს: პირველ დღეს — 5-10 წუთი, შემდეგში ამ დროს ჟროველდღიურად ზრდიან 5-10 წუთით და საბოლოოდ აჰყავთ 1-2 საათამდე. ასეთი პროცედურა აძლიერებს ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლას, აუმჯობესებს კანში სისხლის მიმოქცევას და ნივთიერებათა ცვლას, დამამშვიდებელ გავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზე.

მზის აბაზანა ენიშნებათ სპეციალურად მოწყობილ სოლარიუმში ან, საღაც კი შესაძლებელია. მზის აბაზანა რომ წესიერად იყოს დანიშნული, საჭიროა სოლარიუმის მოწყობა და სხივური ენერგიის გაზომვა. რათა ავაღმყოფმა მიიღოს დოზირებული მკურნალობა.

მზის აბაზანების დანიშვნის წესი. პირველ ორ დღეს სასურველია ავაღმყოფმა მიიღოს

ჰაერის აბაზანა, ხოლო შემდეგ გადავიდეს მზის აბაზანაზე. პირველი პროცედურის დროს ავადმყოფს უნიშნავენ 5 კალორიას, შემდეგ დღეებში ყოველდღიურად უმატებენ 5 კალორიას და აჰეთ 60-80 კალორიამდე. იმ შემთხვევაში, თუ სოლარიუმზე არ არის მოწყობილობა, რომლითაც იზომება მზის სხივური ენერგია, მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ დადგენილი ფაქტით, რომ ჩვენს ზოლში მზით დასხივება 3—5 წუთის ხანგრძლივობით გვაძლევს 3—5 კალორიას (1,5—2,5 წუთი სხეულის წინა და ამდენივე უკანა ზედაპირზე). შემდეგ ყოველდღიურად უნდა მივუმატოთ სამი-ხუთი წუთი და საბოლოოდ ამ პროცედურის ხანგრძლივობა უნდა ავიყვანოთ 1/2—1,5 საათამდე. მზის ხანგრძლივი აბაზანის მიღების დროს სასურველია ყოველ 20—30 წუთში ხუთწუთიანი დასვენება ჩრდილში. მზის აბაზანის დამთავრების შემდეგ ავადმყოფმა უნდა გადაივლოს ნელთბილი ან გრილი წყალი.

**მედიკამენტური მკურნალობა.** მთელ რიგ დაავადებათა დროს (კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული სისტემის და სხვ) ხშირად გვხვდება ამა თუ იმ მედიკამენტის დანიშვნა. ავადმყოფის მკურნალობაში ეს ღონისძიება შედის საერთო კომპლექსში, როგორც ხელშემწყობი საშუალება.

**ფსიქოთერაპია და საუბარი.** პავლოვის მოძღვრების მიხედვით მეორე სასიგნალო სისტემა (მეტყველება) ადამიანის განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს. ეჭიმის ლოგიკურ საუბრებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის მკურნალობისათვის. ეჭიმი ახლოს უნდა იყოს ავადმყოფთან და სწავლობდეს მის სულიერ განცდებს. საუბრებით და დამაჯერებელი მოქმედებით უნდა შთააგონოს ავადმყოფს,



რომ ის გამოჯანმრთელდება აუცილებლად. უნდა დაარტიკულიროს ავაღმყოფი, რომ სათანადო მკურნალობის და რეჟიმის წესიერად დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს. აღწერილია შემთხვევები, როდესაც ავაღმყოფი ლიაგნოზის გამოცხადების შემდეგ უფრო ცუდად გამხდარა. ამიტომ, უმჯობესია ლიაგნოზის გაცნობის წინ მკურნალმა ექიმმა ავაღმყოფს ჩაუტაროს წინასწარი მოსამზადებელი საუბარი.

სამკურნალო ფიზკულტურა. საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაავადების მკურნალობის დროს ფართო გამოყენება აქვს სამკურნალო ფიზკულტურასა და მასაუს. სამკურნალო ვარჯიშების შესრულება უნდა ხდებოდეს მეთოდისტის და ექიმ-სპეციალისტის მეთვალყურეობით.

სამკურნალო ვარჯიში და მასაუი მიზანშეწონილია გამოყენებული იყოს კუჭის ატონიის და პტოზის დროს, აგრეთვე ნაღვლის ბუშტის და ნაწლავების დაავადებათა დროსაც (ქრონიკული ყაბზობა, ქოლეცისტიტი და სხვ). სწორად ჩატარებული სამკურნალო ვარჯიში და მასაუი ძლიერ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს.

## საშარდე სისტემის და საჰალის მომნავანალობა ორგანოთა დაავადებით ჯეპურობილი ავადმყოფების მართვალობის გათვალისწინები და ჩვენიგაზი კურორტ საირმისათვის

დადგენილია, რომ საირმის № 1 და № 3 მინერალური წყალი აძლიერებს შარდის დენას, ქრონიკული პიელონეფრიტის დროს დადებითი მოქმედება ახასიათებს და ხელს უწყობს

თირკმლებიდან და საშარდე გზებიდან პატარა კონკრემენტული ბის (კენჭების) გამოყოფას. გარდა ამისა, დადასტურებულია, რომ საირმის მინერალური წყალი (№ 5, № 3) დადებითად მოქმედებს ქრონიკული ქოლეცისტით და გასტრიტით და-ავალებულებზე. 1966 წლიდან საქ. კურორტოლოგის სამეც-ნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა საქ. უროლოგის ინსტიტუტ-თან ერთად კლინიკისა და კურორტის პირობებში 3 წლის მან-ძილზე შეისწავლეს საირმის № 3 და № 4 მინერალური წყლის გავლენა საშარდე და საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ზოგი-ერთ დაავალებებზე. მიღებული შედეგების მიხედვით, საირ-მის № 3 და № 4 მინერალური წყლები ეფექტურია ქრონიკული ქოლეცისტის დროს. № 3 წყაროს წყალი წარმატებით შე-იძლება გამოვიყენოთ თირკმლის კენჭოვანი დაავალების დროს და სხვ.

აღნიშნული გამოკვლევების შედეგები და აღრე ჩატარე-ბული დავირვებები დაედო საფუძვლად მკურნალობის მე-თოდისა და ჩვენებების შეღვენას კურორტ საირმისათვის.

საშარდე და საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ქრონიკული დაავალებების ბალნეომკურნალობა კურორტ საირმეში ითვა-ლისწინებს ყველა კურორტული ფაქტორების მოქმედებას ავალმყოფის ორგანიზმზე. ავალმყოფმა სამკურნალო კომპ-ლექსიდან უნდა მიიღოს ის სამკურნალო საშუალებები, რო-მლებიც მისთვის ყველაზე უფრო ეფექტური იქნება. ამ დროს მხედველობაში მიღებული უნდა იყოს ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, თირკმლებისა და შარლგამომყოფი გზების მდგომარეობა და სამკურნალო საშუალებების ამტანიანობა.

# საჭარდე სისტემის ორგანოთა კანცოვანი, პროცესუალი ანთებითი დაავადებებისა და მარილოვანი დიათეზე- ბის პომპლექსური მკურნალობა

## I. შარდაკანცოვანი დაავადება და მარილოვანი დიათეზები

რეჟიმი — პირველ დღეებში დამზოვველი, შემდეგში მასტიმულირებელი. გამწვავების დროს — წოლითი, საჭიროების შემთხვევაში ჰოსპიტალიზაცია.

დიეტა — ურატური კენჭიბის (შარდმჟავა დიათეზების) დროს № 6 მაგიდა. ოქსალატური კენჭებისა და ოქსალურის დროს № 6-ა მაგიდა.

მინერალური წყლის შინაგანი მიღება. თუ ავადმყოფს თირკმლის სეკრეციული და მოტორულ-ევაკუაციური ფუნქცია კომპენსირებულ მდგომარეობაში აქვს (კუჭის წვენის მუავობა ნორმალურია), საირმის მინერალური წყალი № 1 და № 3 ნაჩვენებია დაენიშნოს 200—400 მლ რაოდენობით, 3—4 ჯერ დღეში, ჭამის წინ 1,5—2 საათით ადრე. კუჭის წვენის მაღალი მუავობის დროსაც ავადმყოფს მინერალური წყალი ამავე წესით უნდა მიეცეს (უფრო სწორი იქნება, თუ მინერალურ წყალს ავადმყოფს დავუნიშნავთ წონის მიხედვით — კილოგრამ წონაზე 3—4 მლ-ს.)

კუჭის წვენის დაბალი მუავობის დროს საირმის მინერალური წყალი ენიშნება 200—400 მლ 3—4-ჯერ დღეში, ჭამის წინ 10—15 წუთით ადრე.

თირკმლის მოტორულ-ევაკუაციური ფუნქციის ნაწილობრივი დაქვეითების დროს (კუჭის წვენის მუავობის გათვალისწინებით) საირმის მინერალური წყალი პირველ 3-5 დღეს

ეძლევა 200—300 მლ რაოდენობით 3-ჯერ, შემდეგ დღეებში (თუ მინერალური წყალი არ იწვევს ტკივილის წარმოშობას) (წყლის რაოდენობას ვაღიზებთ 300—400 მლ-მდე და ღებულობს 3—4-ჯერ დღეში. ყველა შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობა).

მკურნალობა მინერალური წყლის „დარტყმითი დოზებით“. თირკმლის მენჭში ან შარდსაწვეთში წვრილი კენჭების ან მარილების დაგროვების შემთხვევაში, როდესაც კენჭის მდებარეობა და კალიბრი შარდსაწვეთიდან გამოსვლის საშუალებას იძლევა, შეიძლება დაინიშნოს საირმის №1 და №3 მინერალური წყლით „დატვირთვა“ (ამ დროს თირკმლის და შარდსაწვეთების მოტორულ-ევაკუაციური ფუნქცია კონცენსირებული უნდა იყოს. აგრეთვე არ უნდა იყოს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ წინააღმდეგჩვენება).

მინერალური წყლით „დატვირთვის“ დღეს ავადმყოფს არ ეძლევა სხვა პროცედურები.

ჯერ ავადმყოფმა დილით უზმოზე 15—20 წუთში უნდა დალიოს ერთი ლიტრი საირმის № 1 ან № 3 წყალი. 1,5—2 საათის შემდეგ უნდა ისაუზმოს. საუზმის მიღებიდან 3—3,5 საათის შემდეგ ავადმყოფი ღებულობს წყლის ძირითად რაოდენობას („დატვირთვას“) — 1,5—2,0 ლიტრ მინერალურ წყალს სვამს 20—30 წუთში. ამის შემდეგ სასურველია სიარული. ტკივილის წარმოშობის დროს კარგია აბაზანის მიღება და სპაზმოლიტური საშუალებების გაკეთება (ატროპინი, პაპავერინი), პრომედოლი და სხვ. თუ ამ საშუალებებმა ტკივილი არ მოხსნა, მაშინ უნდა გაკეთდეს შარდსაწვეთის კათეტერიზაცია.

წყლით „დატვირთვა“ შეიძლება განმეორდეს 2-ჯერ და მაში, თუ ამისათვის წინააღმდეგ ჩვენება არ არის. ამ დროს ექიმი აკვირდება კენჭების მიგრაციას.

## II. საზარდე სისტემის ორგანოთა ფრონიაული ანთაგითი დაავადებები

რეუიმი—პირველ დღეებში დამზოგველი, შემდეგ მატონიზირებელი. გამწვავების დროს (პიელონეფრიტი—ტემპერატურის მომატებით) წოლითი რეუიმი ან ჰოსპიტალიზაცია.

დიეტი—დამოკიდებულია შარდის ფორმიან ელემენტებზე. მარილოვან შემადგენლობაზე და სისხლში ელექტროლიტებზე. მაგიდა № 6, № 6-ა, № 7, № 15.

მინერალური წყლის შინაგანი მიღება: იგივე წესით, როგორც შარდკენჭოვანი დააუადების დროს—გათვალისწინებული უნდა იყოს თირკმლის და კუჭის სეპრეტორული და მოტორულ-ევაკუატორული ფუნქციები. ყურადღება უნდა მიექცეს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციურ მდგომარეობას.

## საირმაზი მკურნალობის ჩვენებები და წინააღმდეგჩვენებები

### I. კანკოვანი დაავადება და მარილოვანი დიათეზები

1. შარდკენჭოვანი დიათეზები (ოქსალურია, ურატურია) კენჭების პერიოდულად გამოყოფით.

2. წვრილი კენჭები შარდგამომყოფ გზებში, რომელთა გარკვეული მდებარეობის, კალიბრის და ფორმის გამო არსე-

პობს პირობები შათი დაუპრკოლებრივ გამოსვლისათვის.

3. თირკმლის და შარდსაწვეთის კენჭების თვითნებურად გამოსვლისა და ოპერაციული საშუალებით მოცილების შემ-დგომი მდგომარეობა.

4. თირკმლის დიდი ქვები, როდესაც დარღვეული არ არის თირკმლის, მენჯის ან შარდსაწვეთების მოტორულ-ევაკუ-აციური ფუნქცია (მკურნალობა მინერალური წყლით უნდა ჩატარდეს იმ მიზნით, რომ შემცირდეს ანთებითი პროცესი თირკმელში, მოსამზადებელი ეტაპი ოპერაციისათვის).

## II—საშარდე სისტემის პროცესული ანთებითი დაავადებები

1. პოსტკალკულოზური პიელონეფრიტი.
2. სხვადასხვა ეტიოლოგიის ქრონიკული პიელონეფრიტი (არატუბერკულიოზური), როდესაც თირკმლის სეკრეტორული ფუნქცია შენახულია,
3. ქრონიკული ცისტიტი (კენჭის მოცილების შემდეგ, აგ-რეთვე პროსტატის ადენომის გამო მისი მოცილების შემდეგ).-

## III—ფინანსურული დაავადებები

1. შარდის გამოსვლის მკეთრად გამოხატული დარღვევა ბაშარდე გზებში (შარდსაწვეიისა და შარდის მილის შევიწ-როება, მწვავე ცისტიტი, პროსტატის ადენომა და სხვ.).
2. თირკმლის სეკრეციული ფუნქციის დარღვევა (დეკომ-პენსაციის სტადიაში). ჰიდრონეფროზი, ნეფროზი-ნეფრიტი, მწვავე ნეფრიტი და სხვ.).

3. გულ-სისხლძარღვთა სისტემის ლუბჯის უკმარისობა  
ნევროლითიაზის და თირკმლის ანთებითი დაავალებების (პი-  
ელონეფრიტი) დროს.

4. სხვადასხვა ივთვისებიანი სიმსივნეები თირკმლებში ან  
საშარდე გზებში.

**საირმები საჰალის მომენტების მოგანოთა  
ზოგიერთი დაავალებით და ცივთიერებათა ცვლის  
მოჟლით უპყრობილ ავალებულოვთა  
კომპლექსური მარნალობა**

I. საჰალის მომენტების მოგანოთა ჩრონიკული დაავალებები

### **1. ქრონიკული გასტრიტი კუჭის მომატებული სეკრეციული ფუნქციით**

მინერალური წყლის შინაგანი მიღება: საირმის № 1, № 5 და № 3 მინერალური წყლის მიღება ჭამის წინ 1—1,5 საათით აღრე, 200—400 მლ (3—4 მლ ერთ კილო-  
გრამ წონას 3—4-ჯერ დღეში, გამთბარი 36—38°-მდე).

სამკურნალო კვება: მაგიდა № 1, გამწვავების დროს რამდენიმე დღე ენიშნებათ მაგიდა № 1-ა, წოლითი ან ნახევრადწოლითი რეჟიმის დაცვა.

შენიშვნა: ა) კუჭის ევაკუაციური ფუნქციის უკმარი-  
სობის დროს და კუჭში ლორწოს ლიდი რაოდენობის არსებო-  
ბის შემთხვევებში ნაჩვენებია კუჭის ამორეცხვა უზმოზე  
თბილი მინერალური წყლით კვირაში 2—3-ჯერ.

ბ) მკურნალობის ფიზიკური მეთოდებიდან მიზანშეწონილია ღაინიშნოს პარაფინის აპლიკაცია, ელექტროფორეზი წამლებით (ბრომი, ნოვოკაინი, კალციუმი), ულტრამაღალი სიხშირის ელექტროველი (უ.მ. ს. ელ. ველი) და სხვ.

## 2. ქრონიკული გასტრიტი კუჭის სეკრეციული ფუნქციის უკმარისობით

მინერალური წყლის შინაგანი მიღება:  
ოთახის ტემპერატურის საირმის № 5 და № 3, № 4 მინერალური წყლის მიღება 3—4-ჯერ დღეში, ჭამის წინ 10-15 წუთით ადრე, 200-400 მლ რაოდენობით.

სამკურნალო კვება—მაგიდა № 2.

შენიშვნა: ა) ზემოთმოყვანილი ფიზიკური მეთოდების გარდა გასტრიტის ამ ფორმის დროს კუჭის სეკრეციული ფუნქციის სტიმულაციის მიზნით მიზანშეწონილია ავალმყოფს დაენიშნოს ულტრაიისფერი სხივები ერითმული დოზით (კუჭის მიღამოს დასხივება), 8-10 პროცეცურა.

ბ) ვეღიკამენტებიდან, ზემოაღნიშნულის გარდა, შეიძლება დაენიშნოს პეპსინი და მარილმჟავას ხსნარი ან ნატურალური კუჭის წვენი (ჭამის წინ მიღება), აცილოპეპსოლი, ბეტაციდი. ვიტამინი B<sub>1</sub> B<sub>6</sub> და C.

## 3. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება

მინერალური წყლის შინაგანი მიღება:  
ჭაირმის № 5, № 3 და № 4 მინერალური წყალი ენიშნებათ ისე, როგორც ქრონიკული ვასტრიტების დროს (კუჭის სეკრეციული ფუნქციის შესაბამისად), გამწვავების დროს სასურ-

ველია წყალი იყოს გამობარი 35—36°-მდე ან დროებით მოქმედი სამუშაოს სახის.

სამკურნალო კვება: ენიშნებათ მექანიკურად და ქიმიურად დამზოგველი საკვები. გამწვავების დროს დასაწყისში მაგიდა № 1-ა და № 1-ბ, შემდეგ № 1 მაგიდა.

შენიშვნა: მკურნალობის ფიზიკური მეთოდებიდან ენიშნებათ ულტრამაღალი სახშირის ელექტროველი (უ. მ. ს.) კისრის კვანძებზე ან მოკლეტალლიანი დიათერმის პროცედურა კუჭის არეში.

ტკივილების დასაყუჩებლად გამოიყენება ელექტროფორეზი (ბრომი, ნოვოკაინი, განგლერონი, კვატერონი და სხვ.). მედიკამენტებიდან — ალმაგალი, ვიკალინი, ნოშპა, ბელოიდი, „უ“ ვიტამინი და სხვა.

#### 4. ნაწლავების დაავადება (ქრონიკული კოლიტი და ენტეროკოლიტი)

გინერალური წყლის შინაგანი მიღება: საირმის მინერალური წყალი № 3 და № 4 ენიშნებათ ისევე, როგორც ქრონიკული გასტრიტების დროს, კუჭის სეკრეციული ფუნქციის მიხედვით. თუ კოლიტი მიმდინარეობს კუჭის აშლით (ფალარათი), მინერალური წყლის დანიშვნა არ შეიძლება. კუჭის მოქმედების ვამოსწორების შემდეგ ავადმყოფი ფრთხილად (პატარა დოზებით) ლებულობს მინერალურ წყალს.

სამკურნალო კვება: 1. ყაბზობით მიმდინარე კოლიტებისა და ენტეროკოლიტების დროს, როდესაც ტკივილიც არის გამოხატული, ენიშნებათ მოხარული და გახეხილი ბოსტნეული (მაგიდა № 3-ა), შემდეგში სხვა მაგიდაზე გადასვლა.

2. ფალარათის დროს, კუნის, ღვიძლის და სხვა ორგანიზების მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძლება დაენიშნოს № 4, № 2, № 5-ა ან № 1-ბ, № 1 მაგიდა (რძის გარეშე).

3. დუღილის პროცესების დროს უნდა შეიზღუდოს ნახშირწყლები (მაგიდა № 4-ა) და გამოირიცხოს ის პროდუქტები, რომლებიც აძლიერებენ ნაწლავის პერისტალტიკას.

4. ლპობითი პროცესების დროს რეკომენდებულია ნახშირწყლოვანი დიეტი (ცილების შეზღუდვა).

შენიშვნა: ა) ფალარათის დროს პერისტალტიკის შესანელებლად შეიძლება დაინიშნოს კალციუმის მარილები დიდი დოზით (1,0 გ 3-ჯერ დღეში).

ბ) ლპობითი პროცესების დროს—ბისმუტი, ვიკალინი და სხვ.

გ) სიფონის ოყნა, ნაწლავის მინერალური წყლით გამორეცხვა.

დ) ფიზიოთერაპიული პროცედურებიდან: მოკლეტალიანი დიათერმია, უ. მ. ს.—ელექტროველი, უ. ი. სხივები, პარაფინის აპლიკაცია და სხვ.

ე) ყაბზობის დროს ნაწლავების მასაუი, თუ კოლიტი გამოწვეულია დიზენტერიის ნიადაგზე, უნდა გამოვიყენოთ ანტიბიოტიკები.

## 5. ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის დაავადებები

(ქრონიკული ჰეპატიტი, ქრონიკული ქოლეცისტიტი, ქრონიკული ჰეპატო-ქოლიცისტიტი, ანგიოქოლეცისტიტი, ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადება).

მინერალური წყლის შინაგანი მიღება: საირმის № 5, № 3 და № 4 წყაროს თბილი (36—38°) მინერა-

ლური წყლის მიღება 3—4-ჯერ დღეში, 200—300 მლ რაოდენობით, კუჭის წვენის მუავობის მიხედვით.

სამკურნალო კვება: № 5—5-ა მაგიდა.

შენიშვნა: ა) გასტრიტის მოვლინების თანდართვისას კუჭის ამორეცხვა თბილი მინერალური წყლით.

ბ) კოლიტის თანდართვისას სიფონის ოყნა—ნაწლავის გამორეცხვა მინერალური წყლით.

გ) დურტენალური ზონდაჟი (სამკურნალო მიზნით) 2—3-ჯერ თვეში.

დ) ნალვლის ბუშტის ყრუ გამორეცხვა (დიუბაჟი—მინერალური წყლით) ერთი თვის მანძილზე 8—10-ჯერ.

ე) ფიზიოთერაპია: სოლუქსი, პარაფინის აპლიკაცია, უ. ა. ს. ელექტროველი, მოკლეტალლიანი დიათერმია, ულტრაბგერა.

ვ) გამწვავების დროს მედიკამენტებიდან შეიძლება დაინიშნოს პაპავერინი, ლიმენტინი, ბელადონი, ბელოიდი და სხვ.

## II. ნივთიარებათა ცვლის მოვლა

### 1. პოდაგრა

მინერალური წყლის შინაგანი მიღება: საირმის № 5, № 3 და № 4 წყაროს მინერალური წყალი დღეში 3—4-ჯერ 200—400 მლ რაოდენობით კუჭის წვენის მუავობის და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის გათვალისწინებით.

სამკურნალო კვება: მაგიდა № 6—პურინის შემ-  
ცველი საკვების შეზღუდვა.

შენიშვნა: ა) ფიზიოპურნალობიდან მიზანშეწონილია  
გამოვიყენოთ ელექტროფორეზი სამკურნალო საშუალებით  
(იოდი, სალიცილატები, ლითიუმი და სხვ.). პარაფინის აპლი-  
კაციები, სამკურნალო ვარჯიში და შასაუი.

მედიკამენტებიდან: კოლხიცინი, ეტამიდი, ატო-  
ფანი, სტერიოდული ჰორმონები და სხვ.

## 2. შაქრიანი დიაბეტი (I და II-ა ხარისხი)

მინერალური წყლის შინაგანი მიღება:  
საირმის № 5, № 3 და № 4 წყაროს მინერალური წყალი დღეში  
3—4-ჯერ 200—400 მლ რაოდენობით, კუჭის წვენის მუავობის  
და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის გათვა-  
ლისწინებით.

**სამკურნალო კვება:** მაგიდა № 9—პროდუქტების ინდივიდუ-  
ალური შერჩევით.

შენიშვნა: ა) თუ დიაბეტის I და II ხარისხით დაავადე-  
ბული ავადმყოფი ხანში შესულია და დიდი წონა აქვს (ჭარბად  
გამოხატული ცხიმოვანი ქსოვილი), მაშინ ინსულინის გამოყე-  
ნებას უნდა ვერიდოთ.

ბ) აღნიშნულ შემთხვევაში მიზანშეწონილია ვიხმაროთ  
შაქრის დამწევი საშუალებები: დიაბორალი, ბუკარბანი, ბუტა-  
მიდი, ქლოროპრომადი და სხვ.

გ) ავადმყოფს ხშირად უნდა გაესინჯოს შაქრის რაოდენობა  
სისხლსა და შარლში, აგრეთვე შარლი აცეტონზე.

## საჭირო მომნიშვნებელ ორგანოთა დაავადება

- ა) ქრონიკული გასტრიტები (მომატებული, ნორმალური და დაქვეითებული კუჭის წვენის მუავობით).
- ბ) კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება (გამწვავების გარეშე).
- ღ) სხვადასხვა ეტიოლოგიის ღვიძლისა და სანალვლე გზების ქრონიკული დაავადება; ჰეპატიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატო-ქოლეცისტიტი, ქოლანგოტი (არალამბლიოზური).
- ჟ) ნალვლის ბუშტის და სანალვლე გზების კენჭოვანი დაავადება (არასაოპერაციო შემთხვევები).

### ფინანსურული განვითარების მინისტრი

1. წინააღმდეგჩვენებები, რომლებიც გამორიცხავენ საერთოდ ავადმყოფის კურორტზე გაგზავნას;
2. საყლაპავის, კუჭის პილორუსის და ნაწლავების ნაწიბუროვანი შევიწროება;
3. რიგიდული გასტრიტები და კუჭ-ნაწლავის პოლიპები;
4. ოპერაციის შედეგად განვითარებული კუჭის და ნაწლავების ფისტულები;
5. კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება გამწვავების სტადიაში სისხლისდენისადმი მიღრეკილებით.
6. წყლულოვანი კოლიტები;
7. ღვიძლის ექინოკოკი;
8. ნალვლის ბუშტის კმიება;

9. კალკულოზური ქოლეცისტი (ხშირი შეტევებით და  
სუფებრილიტით).

10 ღვიძლის ციროზი ასციტის და სიყვითლის ნიშნებით.

### ტურისტული და საექსპურსიო აღგილები

კურორტზე მყოფ დამსვენებლებს შეუძლიათ ინახულონ  
რაიონის ცენტრში ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი, აღგილობ-  
რივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი ზეკარი, ზე-  
კარის უღელტეხილი და კურორტი აბასთუმანი, ქუთაისში  
ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, ქუთაისის ავტოქარხანა, გელა-  
თის მონასტერი, ვანის არქეოლოგიური გათხრები და სხვ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

საირმის მდებარეობა და მისასვლელი გზები . . . . .	3
საირმის აღძოჩებისა და განვითარების ისტორია . . . . .	4
საირმის ძირითადი საძკურნალო ფაქტორები . . . . .	7
საირმის სამკურნალო მინერალური წყლები . . . . .	10
საირმის მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობა . . . . .	12
საძკურნალო წყლების წარმოშობის საკითხი . . . . .	15
საირმის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები . . . . .	17
სამკურნალო მინერალური წყლის მოქმედების ბეჭანიშმის საკითხი . . . . .	26
მინერალური წყლის გამოყენების გზები . . . . .	28
კომპლექსური მკურნალობის სხვადასხვა სახეები . . . . .	36
საშარდე სისტემის და საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაავა- დებით შეპყრობილი ავადმყოფების მკურნალობის მეთოდი და ჩვე- ნებები კურორტ საირმისათვის . . . . .	50
საშარდე სისტემის ორგანოთა კენჭოვანი, ქრონიკული ანთებითი დაავადებებისა და მარილოვანი დიათეზების კომპლექსური შკურ- ნალობა . . . . .	52
საირმეში მკურნალობის ჩვენებები და წინააღმდეგჩვენებები . . . . .	54
საირმეში საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ზოგიერთი დაავადებით და ნივთიერებათა ცვლის მოშლით შეპყრობილ ავადმყოფთა კომპ- ლექსური მკურნალობა . . . . .	56

---

რედაქტორი ა. ბერულავა, მხატვარი ო. ვარვარიძე, მხატვრული რვდაჭ-  
ტორი ნ. ლაფაჩი, ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა, კორექტორი გ. ჯავა-  
ლიძე, გამომშვები გ. ბენიძე; გადაეცა წარმოებას 13/VI-75 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბუჭიდად 22/II-78 წ. ქალალდი საბ. № 1. ზომა  $70 \times 108\frac{1}{32}$ . პირობ.  
ნაბ. თაბახი 2,98 საალრ.-საგამომც. თაბახი 2,27 უე 03607 ტერაჟი 5.000  
შეკვ. № 7047. ფასი 5 გაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, მარჯანიშვილის 5  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა  
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის  
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება  
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33

Кутаисское полиграфическое производственное объединение  
Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР  
по делам издательств, полиграфии и книжной торговли.  
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.



729/8

კურტაგანის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 48.196/2